პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 209 (19851) ◆ ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობის შესახებ

სკკპ XXVII ყრილობის დამკვრელური შრომა!

წარმატებით განაგრძობს სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს თბილისის ბრიშუმის საწარმო გერთიანების კოლექტივი. ამ გაერთიანების პროდუქციას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სურათებზე: მარცხნივ — მოსამზადებელი საამქროს მქსელავი, კომკავშირელი ლია ფორჩხიძე საამქროში № 86 პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრებისთანავე მოვიდა და მოწონებულ სახელი დაიმკვიდრა; საქსოვი საამქროს მქსოველები, კომკავშირელები ტატიანა ჩელახსოევა და დარიჯან ბახია.

ა. სააკოვის ფოტო.

ვართო მოხმარების საქონელს — ვართო გზა

ოგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში მეთორმეტე ხუთწლედისათვის წინა პლანზეა წამოწეული მასობრივი მოთხოვნის საქონლის გამოშვების გადიდება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების ასორტიმენტის გაფართოების, მათი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების საკითხები.

ადრე წარმოების საშუალებათა წარმოება საგრძნობლად უსწრებდა მოხმარების საგნების წარმოების ზრდას. მეთორმეტე ხუთწლედში კი თანფარდობა მათ შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შეიცვალა. საქმე ის არის, რომ სკკპ XXVI ყრილობაზე ყველა სამინისტროს მიეცა კონკრეტული დავალება, თუ რა უნდა გააკეთონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრი გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოო გაერთიანებებში, სხვა ორგანიზაციები წინა ხუთწლედებთან შედარებით მეტად ეიხარჯნენ და შედეგმაც არ დაყოვნა. მაგალითის დასადებად განსდა ჩვენი მრეწველობის მიერ დამზადებული ისეთი ნივთები, რომლებიც წინათ დეფიციტად ითვლებოდა.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში შედარებით უმნიშვნელო კაპიტალური დაბანდებებით შეძლეს განვითარებულებინათ მცირე რეკონსტრუქცია, გამოეძებნათ დამატებითი საწარმოო ფართობი და ამის შედეგად გადიდებულიყო ფართო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონლის გამოშვება, გაუფართოებინათ მათი ასორტიმენტი. ასე მოიქცნენ ისინი, ვინც მთელი სერიოზულობით შეიგნო მოხმარების საგნების გამოშვების ზრდის მნიშვნელობა.

შეტად ყურადსაღებია ამ მხრივ, მაგალითად, ქუთაისის ელექტროშემკვანური ქარხნის ხელმძღვანელთა, მისი პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის დანერგვებით, წარმოების ტექნიკური დონის მკვეთრი ამაღლებით ქარხანაში ძირითადი პროდუქციის დამზადების მეტად საგრძნობ ზრდასთან ერთად ხუთწლედის განვლილ პერიოდში 2,14-ჯერ გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ეოლეის მუბუქი ავტომობილების საწარმოო გაერთიანებისა და რუსუბლიკის სხვა მოწინავე საწარმოების მსგავსად ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა განახილა მეთორმეტე ხუთწლედის საკონტროლო ციფრები და დაასკვნა, რომ 1986-1990 წლებში შეძლებს გამოუშვას გათვალისწინებულზე მილიონი მანეთით მეტი სახალხო მოხმარების საქონელი. ეს მისაბაძი მაგალითია.

ზევით უკვე ითქვა, რომ მოხმარების საქონლის გამოშვების მხრივ საერთო მდგომარეობა წინა პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, რეფექციაში კვლავ შემოდის საჩივრები ფართო მოხმარების საქონლის ვაჭრობაზა შეფერხებათა შესახებ. ეს ხდება იმიტომ, რომ რესუბლიკისა და, კერძოდ, თბილისის საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ვერ განმეტკბალნენ ჯეროვანი პასუხისმგებლობით სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დაკავებათა განუწყვეტი შესრულებისათვის. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ცალკეულ სახეობათა ნაწარმის მიხედვით დავალებები ვერ შესრულდა.

არსებობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ რესუბლიკაში პირველი საჭიროებისა და მასობრივი მოთხოვნის საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის 1981-1985 წლებში ამ საქონლის წარმოების გადიდების, ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დოკუმენტის თანახმად მთელ რიგ სამინისტროებს, უწყებებსა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს მიეცათ იმ პროდუქციის აუცილებლად გამოშვების დავალებანი, რომელზედაც მოთხოვნები ჯერჯერობით მოლიანად ვერ კმაყოფილდება. დავალებებს თან ახლავს დანართები, რომელშიც მითითებულია, რომელმა ორგანიზაციამ რა სახეობისა და რამდენი პროდუქცია უნდა დამზადოს.

ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბაზი გაუსვა, რომ ჩვენი გეგმები მშვიდობიანი ცხოვრებისა და ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზაციისა — ასეთია ჩვენი ქვეყნის უპირველესი ამოცანა მსოფლიო ასპარეზზე. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი ბეჯითად იღვწის ბირთვული არსენალების დაგროვების შეწყვეტისათვის. სამხედრო მეტოქეობის ალაგმვისათვის, ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ჩვენი წინადადებანი ყველა სახეობის გამაფრთხილი შეიარაღების შეკვეცის თაობაზე, თქვა მან, მოლაპარაკების მაგიდაზე ძევს. და თუ შესაბამის სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ექნებათ სურვილი მოგრიგდეთ ყველა ამ საკითხზე, რომლებიც მთელი ხალხების ბედს ეხება, ეს შეიძლება მოხდეს ეფექტიანად და საჭმის გაუქიანურებლად.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ წარმომადგენლებს იმის საერთო გაგება აქვთ, რომ საჭიროა აქტიურად და მტკიცედ იმოქმედონ მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის სასარგებლოდ, რათა თავიდან აიცილონ კატასტროფისაკენ დაქანება.

შეეხო რა სსრ კავშირის საშინაო განვითარებას, დიდი მასშტაბის ამოცანებს, რომლებსაც სსრ კავშირი წყვეტს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ დარგებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბაზი გაუსვა, რომ ჩვენი გეგმები მშვიდობიანი ღონისძიებების გეგმებია და მათი რეალიზაციისათვის მშვიდობა გვჭირდება. ომის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და შეიარაღების შემცირება — ასეთია ჩვენი ქვეყნის უპირველესი ამოცანა მსოფლიო ასპარეზზე. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი ბეჯითად იღვწის ბირთვული არსენალების დაგროვების შეწყვეტისათვის. სამხედრო მეტოქეობის ალაგმვისათვის, ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ჩვენი წინადადებანი ყველა სახეობის გამაფრთხილი შეიარაღების შეკვეცის თაობაზე, თქვა მან, მოლაპარაკების მაგიდაზე ძევს. და თუ შესაბამის სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ექნებათ სურვილი მოგრიგდეთ ყველა ამ საკითხზე, რომლებიც მთელი ხალხების ბედს ეხება, ეს შეიძლება მოხდეს ეფექტიანად და საჭმის გაუქიანურებლად.

საბჭოთა კავშირის სიტყვა და საქმე ერთია, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა. ამის დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ყველა ბირთვული აფეთქება ამა წლის 6 აგვისტოდან მოყოლებული, ხირისიმის ატომური დაბომბვის 40 წლისთავის დღიდან, და არ განაახლოს ისინი 1986 წლის 1 იანვრის შემდეგ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ანალოგიურად მოიქცევა. სსრ კავშირი მტკიცედ ილაშქრებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების გავრცელებისა და „ვარსკვლავების ომების“ მოშზადების წინააღმდეგ. ჩვენ საერთაშორისო გერთიანებას შევთავაზეთ მეორე პირსპექტივა — კოსმოსური სივრცის მშვიდობიან კვლევასა და ათვისებაში ფართო თანამშრომლობა.

ი. რაუმ თქვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის პარტნიორობის მოხრეა და უარყოფს კონფრონტაციის, ერთ მხარესთან შედარებით მეორე მხარის სამხედრო უპირატესობის უზრუნველყოფის კურსს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა მიესალმა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმის შესახებ, იგი აქტიურად უჭერს მხარს ყველა წინადადებასა და ღონისძიებას, რომელთა მიზანია კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის დაუშვებლობა.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ევროპას, მისი ბედის ყველა სიმრთელის მიუხედავად, სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის მდიდარი ისტორიული გამოცდილება აქვს, რომელსაც არა მარტო უნდა ეფფრთხილდებოდეთ, არამედ ეამრავლებდეთ კიდეც. ამასთან ყურადღება დაეთმო იმის, რომ სსრ კავშირმა უკანასკნელი წლების მანძილზე წამოაყენა წინადადებათა მთელი გამა, რომელთა მიზანია ევროპის ეროვნების რადიკალური გაუმჯობესება, ურთიერთუშიშროების დონის ამაღლება. საბჭოთა კავშირი როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან კონტინენტის განთავისუფლების მომხრეა. ჩვენს პოლიტიკას ეხმიანება პალმეს კომისიის წინადადება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შესაყარზე „უბრთვო კორიდორის“ შექმნის შესახებ, და მისი განხორციელების მომხრენი ვართ. თუ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნება ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონა, სსრ კავშირი თავისი ფუძემდებელი საგარეო-პოლიტიკური პრინციპების ერთგული, მზად იქნება გარანტია მისცეს და პატივი სცეს ამ ზონის სტატუსს. ასეთი გარანტია შეიძლება ძალაში შევიდეს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები თავის მხრივ ანალოგიურად მოიქცევა.

მთავარი კი ის არის, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ევროპა უნდა მივიხედოთ არა პოტენციური საომარი მოქმედების ასპარეზად, არამედ სახელმწიფოთა და ხალხთა ხელსაყრელი მშვიდობიანი თანამშრომლობის ასპარეზად. ეს გულისხმობს უარის თქმას ყოველ რეგანშისტულ მცდელობაზე, საზღვრების ურღვეობის პრინციპის ზესტად დაცვას.

თავის მხრივ ი. რაუმ ბაზი გაუსვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ესწრაფვის სტაბილურობისა და მტკიცე მშვიდობას ევროპის კონტინენტზე, ისეთი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის ტერიტორიიდან არასოდეს არ შეექმნება ომის საფრთხე მეზობელ ხალხებს, წაახლისდება მათი მშვიდობიანი ურთიერთშოქმედება.

მ. ს. გორბაჩოვმა და ი. რაუმ აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესუბლიკას, როგორც ეს სამოცდაათიანმა წლებმა ცხადყო, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირების კეთილდღეობის მიუხედავად, საკმაოდ ეფექტიანად იყვნენ პარტნიორები მშვიდობისა და უშიშროების კარდინალური პრობლემების გადაჭრის დროს. გამოთქვეა რწმენა, რომ ორივე სახელმწიფოს ურთიერთობა შეიძლება შეუნელებლად განვითარდეს მოსკოვის ხელშეკრულების ფორმისა და მნიშვნელობის დაცვის ბაზაზე, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა და კონტინენტის მშვიდობის ინტერესებს.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები მტრულად არ არიან განწყობილი გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის მოსახლეობისადმი. დასავლეთში გავრცელებულ მტკიცებებში, თითქოს საბჭოთა კავშირიდან მომდინარეობდეს საფრთხე, იოტისოდენა სიმართლე არ არის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის მთელ მოსახლეობას, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მშრომელებს უსურვა მშვიდობა და კეთილდღეობა და გამოთქვა იმედი, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურთიერთგაგება განუხრელად განმტკიცდება.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ნაყოფიერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონტაქტები, და განაცხადეს, რომ ისინი კვლავაც უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს. (საკდისი).

სურათზე: შეხვედრის დროს. საკდის-საქინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ი. რაუს

10 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მხარის პრემიერ-მინისტრი იოჰანეს რაუ.

საუბრის დროს, რომელმაც ურთიერთგაგების ვითარებაში და კონსტრუქციული სულისკვეთებით ჩაიარა, ორივე მხარემ აღნიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარება ხალხთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რადგან გამალებული შეიარაღება და დასავლეთისა და აღმოსავლეთის მზარდი კონფრონტაცია აძლიერებს ახალი ომის საფრთხეს, რომლის მასშტაბი და ხასიათი შეიძლება დამღუპველი, საბედისწერო გამოდგეს მთელი კაცობრიობისათვის. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ წარმომადგენლებს იმის საერთო გაგება აქვთ, რომ საჭიროა აქტიურად და მტკიცედ იმოქმედონ მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის სასარგებლოდ, რათა თავიდან აიცილონ კატასტროფისაკენ დაქანება.

შეეხო რა სსრ კავშირის საშინაო განვითარებას, დიდი მასშტაბის ამოცანებს, რომლებსაც სსრ კავშირი წყვეტს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ დარგებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბაზი გაუსვა, რომ ჩვენი გეგმები მშვიდობიანი ღონისძიებების გეგმებია და მათი რეალიზაციისთვის მშვიდობა გვჭირდება. ომის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და შეიარაღების შემცირება — ასეთია ჩვენი ქვეყნის უპირველესი ამოცანა მსოფლიო ასპარეზზე. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი ბეჯითად იღვწის ბირთვული არსენალების დაგროვების შეწყვეტისათვის. სამხედრო მეტოქეობის ალაგმვისათვის, ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ჩვენი წინადადებანი ყველა სახეობის გამაფრთხილი შეიარაღების შეკვეცის თაობაზე, თქვა მან, მოლაპარაკების მაგიდაზე ძევს. და თუ შესაბამის სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ექნებათ სურვილი მოგრიგდეთ ყველა ამ საკითხზე, რომლებიც მთელი ხალხების ბედს ეხება, ეს შეიძლება მოხდეს ეფექტიანად და საჭმის გაუქიანურებლად.

საბჭოთა კავშირის სიტყვა და საქმე ერთია, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა. ამის დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ყველა ბირთვული აფეთქება ამა წლის 6 აგვისტოდან მოყოლებული, ხირისიმის ატომური დაბომბვის 40 წლისთავის დღიდან, და არ განაახლოს ისინი 1986 წლის 1 იანვრის შემდეგ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ანალოგიურად მოიქცევა. სსრ კავშირი მტკიცედ ილაშქრებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების გავრცელებისა და „ვარსკვლავების ომების“ მოშზადების წინააღმდეგ. ჩვენ საერთაშორისო გერთიანებას შევთავაზეთ მეორე პერსპექტივა — კოსმოსური სივრცის მშვიდობიან კვლევასა და ათვისებაში ფართო თანამშრომლობა.

ი. რაუმ თქვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის პარტნიორობის მოხრეა და უარყოფს კონფრონტაციის, ერთ მხარესთან შედარებით მეორე მხარის სამხედრო უპირატესობის უზრუნველყოფის კურსს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა მიესალმა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმის შესახებ, იგი აქტიურად უჭერს მხარს ყველა წინადადებასა და ღონისძიებას, რომელთა მიზანია კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის დაუშვებლობა.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ევროპას, მისი ბედის ყველა სიმრთელის მიუხედავად, სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის მდიდარი ისტორიული გამოცდილება აქვს, რომელსაც არა მარტო უნდა ეფფრთხილდებოდეთ, არამედ ეამრავლებდეთ კიდეც. ამასთან ყურადღება დაეთმო იმის, რომ სსრ კავშირმა უკანასკნელი წლების მანძილზე წამოაყენა წინადადებათა მთელი გამა, რომელთა მიზანია ევროპის ეროვნების რადიკალური გაუმჯობესება, ურთიერთუშიშროების დონის ამაღლება. საბჭოთა კავშირი როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან კონტინენტის განთავისუფლების მომხრეა. ჩვენს პოლიტიკას ეხმიანება პალმეს კომისიის წინადადება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შესაყარზე „უბრთვო კორიდორის“ შექმნის შესახებ, და მისი განხორციელების მომხრენი ვართ. თუ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნება ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონა, სსრ კავშირი თავისი ფუძემდებელი საგარეო-პოლიტიკური პრინციპების ერთგული, მზად იქნება გარანტია მისცეს და პატივი სცეს ამ ზონის სტატუსს. ასეთი გარანტია შეიძლება ძალაში შევიდეს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები თავის მხრივ ანალოგიურად მოიქცევა.

მთავარი კი ის არის, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ევროპა უნდა მივიხედოთ არა პოტენციური საომარი მოქმედების ასპარეზად, არამედ სახელმწიფოთა და ხალხთა ხელსაყრელი მშვიდობიანი თანამშრომლობის ასპარეზად. ეს გულისხმობს უარის თქმას ყოველ რეგანშისტულ მცდელობაზე, საზღვრების ურღვეობის პრინციპის ზესტად დაცვას.

თავის მხრივ ი. რაუმ ბაზი გაუსვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ესწრაფვის სტაბილურობისა და მტკიცე მშვიდობას ევროპის კონტინენტზე, ისეთი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის ტერიტორიიდან არასოდეს არ შეექმნება ომის საფრთხე მეზობელ ხალხებს, წაახლისდება მათი მშვიდობიანი ურთიერთშოქმედება.

მ. ს. გორბაჩოვმა და ი. რაუმ აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესუბლიკას, როგორც ეს სამოცდაათიანმა წლებმა ცხადყო, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირების კეთილდღეობის მიუხედავად, საკმაოდ ეფექტიანად იყვნენ პარტნიორები მშვიდობისა და უშიშროების კარდინალური პრობლემების გადაჭრის დროს. გამოთქვეა რწმენა, რომ ორივე სახელმწიფოს ურთიერთობა შეიძლება შეუნელებლად განვითარდეს მოსკოვის ხელშეკრულების ფორმისა და მნიშვნელობის დაცვის ბაზაზე, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა და კონტინენტის მშვიდობის ინტერესებს.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები მტრულად არ არიან განწყობილი გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის მოსახლეობისადმი. დასავლეთში გავრცელებულ მტკიცებებში, თითქოს საბჭოთა კავშირიდან მომდინარეობდეს საფრთხე, იოტისოდენა სიმართლე არ არის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის მთელ მოსახლეობას, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მშრომელებს უსურვა მშვიდობა და კეთილდღეობა და გამოთქვა იმედი, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურთიერთგაგება განუხრელად განმტკიცდება.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ნაყოფიერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონტაქტები, და განაცხადეს, რომ ისინი კვლავაც უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს. (საკდისი).

580.000 ტონა ჩაისათვის

დაჭლიოთ ჩამორჩენა, აჯამაღლოთ ხარისხი!

ჩვენი მიმოხილვა

ჩაის ფოთოლის კრეფის სეზონი იწურება, მაგრამ ახლანდელი ტემპი არ არის საკმარისი იმ გადადებული ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც აკისრეს ჩვენმა მეჩაიეებმა. ამაზე მეტყველებს ჩვენმა მეჩაიეებმა. ამაზე მეტყველებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის 10 სექტემბრის მაჩვენებლები. მაგალითად, 9 სექტემბრის ჩათვლით რესუბლიკის სუბტროპიულ მეურნეობებში სულ დამზადებული იყო 463.183 ტონა ნედლეული, რაც შარშანდელ ამ პერიოდის მაჩვენებელზე 28.604 ტონით ნაკლებია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წლევანდელი გეგმით შარშანდელთან შედარებით მოსაკრეფია 2 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, მეჩაიეებს მოუხდებათ დაძაბული შრომა სამეურნეოების დასაძლევად და სამეურნეო წლის წარმატებით დასამთავრებლად.

სავალალო ისაა, რომ 25 მეჩაიეობის რაიონიდან ჩაის ფოთოლის კრეფის შარშანდელ დონეს მხოლოდ სამი — ჩხოროწყუს, გულრიფშის და სოხუმის რაიონები უსწრებენ შესაბამისად 780, 149 და 60 ტონით, ხოლო 22 რაიონი ჩამორჩება. მახარაძის რაიონი შარშანდელ დონეს 9.762 ტონით ჩამორჩა, აქაურსა და ფოთლოვის ავტონომიური რესუბლიკები შესაბამისად 4.892 და 2.276 ტონით, ზუგდიდის რაიონი — 2.596 ტონით, ლანჩხუთის — 2.456 ტონით, წყალტუბოს ზონა —1.501 ტონით, ჩიბატაურის — 1.381 ტონით. ტემპის გაძლიერება მართები წალენჯიხის, ხობის, ცხაკაიას, ტყიბულის ზონის, სამტრედიის, თერჯოლის, გეგეჭკორის და სხვა რაიონებს.

10 სექტემბრისათვის მახარაძის რაიონში სულ დამზადებული იყო 84.086 ტონა ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 62.440 ტონა, გალში — 42.378, ქობულეთში — 37.094, ონჩაჩიერეში — 35.095, წალენჯიხაში — 28.474, ჩხოროწყუში — 25.129, ლანჩხუთში — 23.802, გეგეჭკორში — 21.904, ხელვაჩაურში — 17.942, ჩიბატაურში — 13.398, ცხაკაიაში — 11.769, ტყიბულის ზონაში — 11.350, წყალტუბოს ზონაში — 11.215, ხობში — 9.713, წულუკიძეში — 8.981, გუდაუთაში — 7.422, გულრიფშში — 2.828, სამტრედიაში— 2.423, ქიათურის ზონაში — 1.195, ქედაში — 1.066, თერჯოლაში — 995, ვანში — 990, სოხუმში — 831, აბაშაში — 663 ტონა.

ახლა ჩაის ფოთოლი საკრეფად ყველგან შემოსულია, ტემპმაც იმატა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ 7 სექტემბრის რესუბლიკაში 2.311 ტონა ნედლეული დამზადდა, 8 სექტემბერს — 2.897 ტონა, ხოლო 9 სექტემბერს — 3.247 ტონა. მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი.

ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის მეჩაიეებმა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა გაუფარესეს. ამა სხვას რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ წულუკიძის რაიონში მთლიანად დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის ხვედრითი წილი 64,2 პროცენტია, გეგეჭკორის რაიონში — 65,3 პროცენტი, ქიათურის ზონაში — უფრო ნაკლები — 62,8 პროცენტი. რაოდენობასთან ერთად ხარისხზე ზრუნვა მართებთ თითქმის ყველა მეჩაიეობის რაიონს.

მეჩაიეთა გადაუდებელი ამოცანაა ძალ-ონე არ დაიშურონ იმახალთვის, რომ წარმატებით დაძლიონ ჩამორჩენა, ყველაფერი იღონონ რაოდენობასთან ერთად ხარისხის მკეთრად გაუმჯობესებისათვის.

დავალება შესრულებულია

● ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘ რაიონის მშრომელებმა გადაკვანძებით შეასრულეს კეკრალოვანი ხილის დამზადების საგეგმო დავალება. 2.765 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 2.815 ტონა. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 1265 ტონის ნაცვლად დამზადებულ 1.315 ტონა კეკრალოვანი ხილი.

ხილის დამზადება გრძელდება.

● ᲒᲐᲒᲔᲩᲘᲠᲘ რაიონმა სენაჟის დამზადების მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება ჯერ კიდევ 15 აგვისტოსთვის გადაჭარბებით შესრულა. 4.800 ტონის ნაცვლად დამზადდა 8.671 ტონა სენაჟი (180,6 პროცენტი). წლეულს 700 ტონის ნაცვლად დასენაჟდა 750 ტონა მწვანე მასა.

სეზონის ბოლომდე მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში ათობით ტონა სენაჟი ჩაიდება.

● ᲧᲐᲕᲨᲘᲠᲘ რაიონის საკვებმომავლებმა წარმატებით შესრულეს თიბის დამზადების წლევანდელი დავალება. ნაცვლად 3.920 ტონისა დაამზადეს და ფურრმებთან სიმეფდოდ დაამბინავეს 6.100 ტონა თივა.

თიბის დამზადება გრძელდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1985 წლის 8 სექტემბერს 76 წლისა გარდაიცვალა ფვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი და სახალხო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, რესუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაჭანიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რაფიელ რაფიელის ძე ფალი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

შეიძინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რ. რ. ფალის დამკრძალავი კომისია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ე. ა. ხარაძის თავმჯდომარეობით.

რ. რ. ფალის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲜᲐ-ᲒᲐᲖᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ

სსრ კავშირის მთავრობა გულოდადად მიესალმება მოსკოვის მეხუთე საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობის მონაწილეებსა და სტუმრებს! მისი კეთილშობილური დევიზი „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“ საყოველთაოდ გამოხატავს ლენინური ნამდვილი დანიშნულების ჰუმანურ არსს— ადამიანები ცოდნას, საკაცობრიო გამოცდილების სიმდიდრეს, წაროვალ სულიერ ღირებულებებს, გადოს ურთიერთგაგების ხიდები ადამიანებსა და ხალხებს შორის, დაიცვას სამართლიანობა და მშვიდობა. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება საბჭოთა წიგნი. იგი პლანეტის ყველა კუთხეს აუწყებს ჩვენი საშობლოს შესახებ სიმართლეს — საზოგადოებრივი პროგრესისა და ჰუმანიზმის სიმართლეს.

მოსკოვის ახლანდელი წიგნის გამოფენა-ბაზრობა მიმდინარეობს განსაკუთრებულ წელს — ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის წელს. მსოფლიოს ადამიანებმა იციან, რა აურაცხელი მსხვერპლის ფასად დაჯდა დღევანდელი მშვიდობა. დიდია მსოფლიო კულტურის დანაკარგები, ქაო

პარტიული ცხოვრება:
რაიკომი და აგროსამრეწველო კომპლექსი

მართვა რომ სრულვყოთ

აგროსამრეწველო გაერთიანება ჩვენს რაიონში 1978 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი წლები სიახლეში გარკვევას, საქმეში ღრმად ჩახედვას მოუნდა. არსებითად ეს ბოლო სამი-ოთხი წელია, რაც საქმე აეწყო.

პარტიის რაიკომისათვის, რომელიც სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს გაერთიანების მუშაობას, განსაკუთრებით საგულისხმოა კომპლექსში თანასწორუფლებიანი პარტნიორობის დამყარება და მასში შემავალი დარგების ეკონომიკური მექანიზმის ურთიერთკავშირის სრულყოფა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა დარგის საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებითი ძვრები მოხდა. შარშან 1980 წელთან შედარებით მოკრეფილია 4.877 ტონით მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 479 ტონით მეტი უხეში და მოუხეშო ჩაი, 18.425 ტონით მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, გადაჭარბებითაა შესრულებული მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმით მეცენარეობაში გათვალისწინებული ოთხი წლის გეგმა-ვალდებულება.

განსაკუთრებით კარგი შედეგები გვაქვს საკვებწარმოებაში, ოთხი წლის განმავლობაში თითოეულ საფურაჟე ძროხაზე წარმოებული რძის რაოდენობა 300 კილოგრამით გაიზარდა.

1984 წელს 1980 წელთან შედარებით რაიონში 7 მილიონი მანეთით მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციაა წარმოებული. სულ უფრო მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მაჩვენებლები, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოგება ცხრიდან 12 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, რამაც გამოიწვია რენტაბელობის დონის ამაღლება კოლმეურნეობებში ოთხი პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებში — სამი პროცენტით.

აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ორგანიზაციების კარგ ეკონომიკურ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული ცენტრალიზებული ფონდების დაგროვება. რაიონში 1981-1984 წლებში მოხდა 2128 ათასი მანეთის ცენტრალიზაცია. პარტიის რაიონული კომიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ცენტრალიზებული თანხების მიზანდასახულ და რაციონალურ ხარჯვას. მიგვაჩნია, რომ ეს თანხები უპირველესად აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების პროპორციულ და შეთანასწორებულ განვითარებას უნდა მოხმარდეს.

დადგენილია, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მართვის ეკონომიკური მექანიზმის მატერიალური ბაზა არის ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდები, როგორც სარენტო შემოსავლის განაწილების საუკეთესო საშუალება. ამიტომაც პარტიული კომიტეტის მთავარ ამოცანად გვესახება სწორი პარტიული ხელმძღვანელობა და მკაცრი კონტროლი გავუწიოთ სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვას. საილუსტრაციოდ შემდეგი ფაქტები გამოდგება: ჩვენთან ცენტრალიზებული ფონდებიდან ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობისათვის შეიძინეს 100 სული დიდპროდუქტიული ძროხა, პირველი გალის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობისათვის — 90 სული დეკეული; აშენდა ადგილობრივი საშენ მასალათა კომბინატი, პირველი გალის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა 200 სულისათვის, ამგვარივე საშეურნეობათაშორისო მეღორეობის გაერთიანების თანამედროვე ტიპის მექანიზებული ფერმა; ჭუბურხინჯის საშენი მასალების პოლიგონის აგურის ქარხნის აღსადგენად და საბრუნავი საშუალებების შესავსებად გაიცა 120 ათასი მანეთი; წყლით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით „საქცხოველმრეწვის“ სისტემის რეფის განახლების მეცხოველეობის კომპლექსებში, ბარღებისა და ნაბაკევის ჩაის ფაბრიკებში მოეწყო ჭაბურღილები. აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტებისათვის აშენდა ოცდაოთხბინიანი საცხოვრებელი სახლი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამუშაოთა ხარისხიანი და დროული შესრულებისათვის შარშან წახალისების ფონდიდან დაჯილდოვდა 820 მუშა, კოლმეურნე და სპეციალისტი.

ამ ბოლო ხანს რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამხმარე საწარმოების შექმნას. მივაღწიეთ იმას, რომ ნედლეული, როცა იგი ბევრი არ არის, მიკროფაბრიკებში გადამუშავდეს. მეგობრობის ციტრუსების მეურნეობაში ნედლეულის გადამმუშავებელი ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემამ შესაძლებლობა მოგვცა ადგილზე გადავამუშაოთ 2.000 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მიკროფაბრიკების ორგანიზაციას უნდა ვუმადლოდეთ, რომ არსებული ჩაის ფაბრიკები ზედმეტად, გაუმართლებლად აღარ იტვირთება. ასე რომ, გადამუშავება წარმოებას დაუახლოვდა.

პარტიის რაიონული კომიტეტის მოთხოვნით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა შეიმუშავეს ჩაის ფოთლის დამზადება-გადამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა „პლანტაცია-ტრანსპორტი-ფაბრიკა“, რამაც უზრუნველყო ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფისა და მიღების კარგი ორგანიზაცია წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. ჩაის ნედლეულის დროულმა გადამუშავებამ მნიშვნელოვნად გაზარდა გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი და პირველი ხარისხის ნაწარმის ხვედრითი წილი. მაგრამ, მიუხედავად გარკვეული დადებითი შედეგებისა, ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ მართვის ახალი სისტემა მთლიანად ჩამოყალიბდა. მიგვაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბევრია დასახვეწი და გასაკეთებელი მისი საბოლოო სრულყოფისათვის. თუნდაც ცენტრალიზებული ფონდების დაგროვებისა და განაწილების საქმეშიც. მაგალითად, გალის რაიონის პირობებში ხუთწლედის გასულ ოთხ წელიწადში პარტნიორი ორგანიზაციების შენატანი ცენტრალიზებულ ფონდში 15 პროცენტს შეადგენს, ხოლო მათს საჭიროებას მოხმარდა დაგროვილი სახსრების 11 პროცენტი.

ჩვენი აზრით, ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და განაწილების მოქმედი წესი, თუმცაღა მას მრავალი დადებითი მხარე აქვს, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, რადგან ეფექტიანად ვერ უწყობს ხელს პარტნიორთა დაინტერესებას წარმოების განუხრელი ზრდით, რაც ეწინააღმდეგება აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნის ნებაყოფლობით, სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნების, საბოლოო შედეგებით დაინტერესების პრინციპებს. ალბათ ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი საწარმო გაურბის ცენტრალიზებული ფონდების შექმნაში მონაწილეობას. პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ საქმის მოგვარებაში მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ.

რაიონში შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიან პროგრამაში მთავარი ადგილი აქვს დათმობილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის ღონისძიებებს. უპირველესად მხედველობაში მაქვს კოლხეთის დაშრობა და დაშრობილი მიწების რაციონალური გამოყენება საქართველოში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების შემდგომი გადიდების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

ჩვენი დღევანდელი მუშაობის მთავარი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. რაიკომის ბიუროს სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა ზარალიანი და ნაკლებრენტაბელური მეურნეობების ეკონომიკური განმტკიცების ღონისძიებათა შემუშავება. ამ პრობლემას მიეძღვნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც მიიღო კონკრეტული რეკომენდაციები ორ საბჭოთა მეურნეობაში — ოტობაიის მებოსტნეობისა და სიდის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლების საკითხზე. შედეგები უკვე გვაქვს — 1984 წელს 1982 წელთან შედარებით ოტობაიაში ზარალი შემცირდა 72 ათასი მანეთით, ხოლო სიდში რენტაბელობის დონე გადიდდა 13 პროცენტით.

პარტიის რაიკომი ასრულებს რაიონის ტერიტორიაზე მოქმედ სხვადასხვა უწყებების პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის მაკოორდინებელ ფუნქციას, ხელმძღვანელობს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე შესაბამის რესპუბლიკურ სამინისტროებთან ორმხრივი ღონისძიებების შემუშავებასა და მიღებას. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან შემუშავებულია რაიონში მებოსტნეობის, სატბორე მეთევზეობის შემდგომი გაუმჯობესების, „საქკოლმშენთან“ — საშენ მასალათა, კერძოდ აგურის ქარხნის მშენებლობის, კვების მრეწველობის სამინისტროსთან — ბალახოვანი ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების გადიდების და სხვა დარგების განვითარების კომპლექსური ღონისძიებანი.

დღეს პარტიის რაიონული კომიტეტის, პირველადი პარტორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მისი ეფექტიანობის გადიდება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემა სულ უფრო და უფრო იხვეწება, მოქნილი და ქმედითი ხდება. შექმნილია სპეციალური საკოორდინაციო საბჭო, რომელიც წარმართავს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის პროცესებს.

ახლა, როდესაც აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ორგანიზაციები თანამედროვე მძლავრი ტექნიკით აღიჭურვნენ, როცა უფრო ინტენსიურად ხორციელდება მიწების ქიმიზაცია და მელიორაცია, რთულდება წარმოება, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მისი ეფექტიანობის შემდგომი გადიდებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება კადრების კვალიფიკაციის დონეს, მათს უნარს — გაუძღვნენ წარმოებას მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე. პარტიის რაიკომს აღებული აქვს გეზი, რათა ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე დაწინაურდნენ ისინი, ვინც მასების შუაგულში იშრომა, ხოლო შემდეგ პარტიული წრთობის სკოლა გაიარა, გარკვეულ დროს იმუშავა პარტიის რაიკომში ან პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად და თავი გამოიჩინა პოლიტიკური მომზადებითა და ორგანიზატორული თვისებებით. სწორედ ასეთი გზა გაიარეს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარემ რ. შონიამ, ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შამუგიამ, ჩხორთოლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. შონიამ, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის გალის ფილიალის დირექტორმა ა. ჯეჯეიამ, სახალხო დეპუტატთა პირველი გალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. გიუნაშვილმა და სხვებმა. კადრების დაწინაურებას რეზერვიდან ხელმძღვანელ თანამდებობაზე სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. პარტიის რაიონული კომიტეტი რეზერვის შექმნისას ითვალისწინებს ამა თუ იმ მუშაკზე კოლექტივის აზრს, პიროვნების პოლიტიკურ სიმწიფეს, მორალურ სახეს, ხელმძღვანელობის უნარს და სხვა თვისებებს, რომლებიც უნდა ახასიათებდეს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებს.

დღევანდელობა მოითხოვს, რომ გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმოს ხელმძღვანელი იყოს კომპეტენტური და კარგი პროფესიული მომზადებისა, რათა წარმატებით მართოს მინდობილი დარგის ეკონომიკური პროცესები. არ შეიძლება ითქვას, რომ მართვის ამ ახალმა სისტემამ საკადრო პრობლემებიც არ შექმნა რაიონში, ყველა რგოლისათვის მორგებული მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება შეუძლებელი იყო. მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში უდავოდ ხელს გვიწყობს რესპუბლიკაში არსებული კადრების მომზადება-გადამზადების მწყობრი სისტემა. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გადიან ყველანი — საშუალო რგოლის ხელმძღვანელებით დაწყებული და რაიონული კომიტეტის მდივნით დამთავრებული. ყველა რგოლის ხელმძღვანელებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა გვეხმარება გვყავდეს სწორად ორიენტირებული და დღევანდელი პოლიტიკის სწორი ხაზის გამტარებელი ხელმძღვანელი კადრები.

აგროსამრეწველო კომპლექსის თანასწორუფლებიანი პარტნიორობის დამყარება და მასში შემავალი დარგების ეკონომიკური მექანიზმის ურთიერთკავშირის სრულყოფა წარმოუდგენელია პარტიული მუშაობის განუხრელი გაუმჯობესების, ყველა არსებული რეზერვის, ყოველივე ახლის გამოვლენისა და მათი მაქსიმალური გამოყენების გარეშე. ამიტომაც პარტიის რაიკომი, მისი განყოფილებები დღეს უფრო მეტს ზრუნავენ ადგილებზე პარტიული მუშაობის სტილის შემდგომი სრულყოფისათვის. მკაცრად ვაკონტროლებთ, თუ როგორ უზრუნველყოფენ პირველადი პარტორგანიზაციები შემუშავებული პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მინდობილი საქმისათვის თითოეული კომუნისტის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება პარტიის მოთხოვნა: „კიდევ უფრო უნდა სრულვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა... უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს აგროსამრეწველო კომპლექსი ვმართოთ, დავგეგმოთ და დავაფინანსოთ როგორც მთლიანი ყველა დონეზე“.

შ. შარანგია,
საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ახალგაზრდობისათვის ზრუნვით

ჯერ კიდევ არ იძლევა სასურველ ეფექტს მუშაობა კასპის რაიონის სოფლებიდან ახალგაზრდობის მიგრაციის დონის შემცირებისათვის. ასეთი იყო ერთ-ერთი დასკვნა, რომელიც გამოიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა და საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებმა. თავიანთ გაერთიანებულ სხდომებზე მათ განიხილეს საკითხი, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ამ რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები, რათა უზრუნველყონ ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, შრომის, ყოფისა და დასვენების საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტა.

მიღებულ დადგენილებაში კასპის რაიონული საბჭოს აღმასკომს, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა სხვა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისას უფრო სრულად გაითვალისწინონ მოზარდი თაობის მოთხოვნილებები და ინტერესები, ახალგაზრდობასთან მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და 1985 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებით. კონკრეტული რეკომენდაციები მიეცათ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი.

სხდომის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ნ. ი. ლაღიძემ.
(საქინფორმი).

პარტიული კონტროლი:

ქმედითობა, სისტემურობა

გორის საქალაქო და ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პირველი, მაგრამ საინტერესო ნაბიჯი გადადგეს ადგილებზე პარტიული კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნის გზაზე. აქ სულ უფრო აქტიურად ნერგავენ პარტიული კომისიებისა და ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიების ერთობლივი მუშაობის პრაქტიკას.

აღნიშნული პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება მოიწონეს გორში გამართულ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე. მისმა მონაწილეებმა — საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების გამგეებმა, პარტიული კომისიების თავმჯდომარეებმა განიხილეს ამოცანები, რომლებიც ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებისათვის პირველადი პარტორგანიზაციების კომისიების მუშაობის შემდგომ სრულყოფას უკავშირდება.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის დ. ხუბიშვილის, პარტიის ქალაქ თბილისის კიროვის რაიკომთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარის ი. ქელბაქიანის მოხსენებებში, სხვა ორატორების გამოსვლებში ღრმად იყო გაანალიზებული საქმის ვითარება პარტიული კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნაში. აღინიშნა, რომ მუშაობის ახალი ფორმა ხელს უწყობს პარტიის ძირეულ რგოლებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი მეცადინეობა მოახმარონ შრომითი კოლექტივისათვის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას, იგი კონტროლს უფრო ქმედითსა და სისტემურს ხდის.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ყარყარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე გ. კოლესოვი.

თათბირ-სემინარზე მიიღეს რეკომენდაციები, რომელთა მიზანია პარტიული ორგანიზაციების აქტიურობის შემდგომი ამაღლება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრის უზრუნველყოფა.

საქართველოს მწერალთა კავშირში

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი. მან განიხილა რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის გეგმები და ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ვ. ასათიანი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად არჩეულია პოეტი რ. ამაშუკელი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

უცხოეთში
ფაქტები მოვლენები

10 სექტემბერი ● საქდესის იუწყება

განიარაღება დროის მოთხოვნაა

დამთავრდა სსრ კავშირ-ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრა

სან-ფრანცისკო. აქ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მეოთხე შეხვედრამ, რომელიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა.

საბოლოო სხდომაზე განიხილეს მშვიდობისა და უშიშროების დაცვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაზე რეგიონალური პროცესების ზეგავლენის საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ კონფლიქტური სიტუაციები მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს შემაჯამებელი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მშვიდობის განმტკიცების, ურთიერთობის გაუმჯობესების ყოველგვარი ღონისძიებები. „დროის მოთხოვნაა, — ნათქვამია დოკუმენტში, — უკან დავაბრუნოთ გამალებული შეიარაღების პროცესი და შევქმნათ განიარაღების საფუძველი“. ფორუმზე უპირველეს მნიშვნელობის ამოცანად დაასახელეს კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილება. „ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები,— ნათქვამია განცხადებაში, — მხარს უჭერენ მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის ერთობლივი კვლევის განხორციელებას, როგორც ეს წარსულში ხდებოდა: მათ მიაჩნიათ, რომ სამხედრო მიზნებით დედამიწის ირგვლივი სივრცის გამოყენებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება“. ორივე დელეგაციამ მხარი დაუჭირა ბირთვული იარაღის გამოცდებისა და ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის დარგში კვლევის სრული და საყოველთაო აკრძალვის იდეას. საჭიროდ მიიჩნია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული კავშირურთიერთობისა და სამეცნიერო გაცვლის გაფართოება.

ჩვენ დადებით შეფასებას ვაძლევთ დისკუსიათა შედეგებს, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბრისას ამერიკის მხრივ შეხვედრის თანათავმჯდომარემ, ვაშინგტონის პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის პროფესორმა მ. რასკინმა. გაიმართა ნაყოფიერი და გულწრფელი აზრთა გაზიარება. დიდი ყურადღება ეთმობოდა, აღნიშნა მეცნიერმა, „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში „გამღიზიანებლების“ თავიდან მოცილების, უნდობლობისა და ეჭვიანობის ატმოსფეროს დაძლევის გზების ძიებას“.

სამეცნიერო წრეებში ინტერესს იწვევს საერთაშორისო ვითარების ჩამოყალიბებაში იდეოლოგიური ფაქტორების ზეგავლენის საკითხთა განხილვა. სოციალურ-პოლიტიკური განსხვავება არ უნდა უქმნიდეს დაბრკოლებას სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის გაუმჯობესებას. „საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების ერთობლივმა მეცადინეობამ, — ხაზი გაუსვა მ. რასკინმა, — შესამჩნევი წვლილი უნდა შეიტანოს ორმხრივი თანამშრომლობის თვალსაზრისით ახალი კონცეფციებისა და იდეების შემუშავებაში, რომელთა საფუძველზეც სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები XXI საუკუნეს მშვიდობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში დაიწყებენ“.

● ბელგია

ამერიკული რაკეტები უნდა გაიტანონ

ბრიუსელი. „ამერიკული ფრთოსანი რაკეტები ბელგიის ტერიტორიიდან უნდა გაიტანონ უმოკლეს ვადებში“ — ასეთია სოციალისტური პარტიის (ფლამანდიელები) პოზიცია, რომელიც დაადასტურა მისი საპარლამენტო ჯგუფის ლიდერმა ლ. ტობაკმა, რომელიც პარტიის ყრილობაზე გამოვიდა. ყრილობის დელეგატებმა, რომლებიც სპეციალურად მოიწვიეს ქვეყნის პარლამენტის არჩევნების წინ, მიმდინარე წლის 13 ოქტომბრისათვის რომ არის დანიშნული, თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ პარტია განსაკუთრებით ენერგიულად აპირებს იბრძოლოს ბელგიის მიწა-წყლიდან პირველი დარტყმის ამერიკული ბირთვული იარაღის გატანისათვის. ეს, კერძოდ, აღნიშნეს პარტიის თავმჯდომარემ კ. ვან მიერტმა, ფლანდრიის ახალგაზრდა სოციალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლ. ვან დე ველდემ და მრავალმა სხვამ.

ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს ახლანდელი მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის შეთანხმებლური პოლიტიკა, რომელიც თეთრი სახლის ზეგავლენით მზად არის მონაწილეობა მიიღოს ეგრეთწოდებული „კოსმოსური ომებისათვის“ მზადებაში.

ერაყ-ირანის ფრონტზე

ბაღდადი, ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბოლო დღე-ღამის მანძილზე ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენავები კვლავ დარტყმებს აყენებდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებსა და ჯარების თავმოყრის რაიონებს ფრონტის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე. საჰაერო თავდასხმების დროს განადგურებულია ირანის სარაკეტო დანადგარი, ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, საარტილერიო და ნაღმსატყორცნი პოზიციები. „მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთით“ მდებარე რაიონში ერაყის ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის კატარღები, გადასაზიდი საშუალებანი, ტყვია-წამლის საწყობები და მოწინააღმდეგის სხვა სამხედრო ობიექტები.

ირანის შორსმსროლელმა არტილერიამ კვლავ ცეცხლი დაუშინა ერაყის ქალაქ მანდალის.

ნიქოზია. ირნას საინფორმაციო სააგენტო (ირანი) იტყობინება, რომ ბრძოლების შედეგად ირანის ჯარებმა ხელთ იგდეს „სტრატეგიული მაღლობები დახავლეთის მიმართულებით“. ერაყელებმა ის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას ზარალი მიადგა. ფრონტის ცენტრალურ და სამხრეთ უბნებზე საარტილერიო დუელი გაიმართა.

ირანის სანავსადგურო ქალაქ აბადანს რამდენჯერმე დაუშინეს ერაყის შორსმსროლელი არტილერიის ცეცხლი.

მოკლედ

კოლუმბიელ კომუნისტთა განცხადება

● **ბოგოტა.** აქ გაიმართა კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის და ბირთვული კატასტროფის დაუშვებლობისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, კერძოდ, საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივად გამოცხადებულ მორატორიუმს ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებებზე.

კოლუმბიელმა კომუნისტებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ სოლიდარობენ რევოლუციურ ნიკარაგუას, რომელიც დამოუკიდებლობას იცავს და თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ჩილეს, სალვადორის ხალხებს.

ლიბანელ პატრიოტთა იერიში

● **ბეირუთი.** როგორც სამხრეთ ლიბანიდან მოსული ცნობები იუწყებიან, პარტიზანებმა კვლავ მიიტანეს იერიში ისრაელი დამპყრობლებისა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ პოზიციებზე. პატრიოტებმა გრანატსატყორცნების ცეცხლი დაუშინეს ოკუპანტებისა და მათი დაქირავებულების პოსტს სოფელ ბეით-დიფში. ანალოგიური ოპერაცია განახორციელეს დაბა მრაჯ-აბასში, სადაც ცეცხლი დაუშინეს კოლაბორაციონისტთა პოზიციას. ლიბანელ პარტიზანთა მოქმედების შედეგად აგრესორმა და მისმა დამქაშებმა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის საგრძნობი ზარალი განიცადეს.

● ავღანეთი

მიმართვა ხალხს

ქაბული. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ქარმალმა მიმართა ავღანელ ხალხს წიგნიერების გავრცელების საერთაშორისო დღის გამო.

უწიგნურობის სრული აღმოფხვრა, განაცხადა მან, აპრილის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ დარგში უკვე ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ იმპერიალიზმი და რეაქცია ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომელიც გამოუცხადებელ ომს აწარმოებს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ უწიგნურობის ლიკვიდაციის პროცესს. იმპერიალისტების მხარდაჭერით შეგულიანებული კონტრრევოლუციური ძალების დანაშაულებრივი მოქმედების მიუხედავად, ამჟამად ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებს 20 ათასი უწიგნურობის ლიკვიდაციის კურსი, სადაც 400 ათასი კაცი სწავლობს. სულ კი რევოლუციის წლებში, თქვა შემდეგ ავღანეთის ხელმძღვანელმა, ქვეყანაში წერა-კითხვა ისწავლა მილიონ 150 ათასმა ავღანელმა. დღეს უწიგნურობის ლიკვიდაცია ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის, რევოლუციური მთავრობის, ეროვნული სამამულო ფრონტის, ავღანეთის პროფკავშირების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ავღანეთის არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ღვიძლი საქმეა. ჩვენ ხორცი უნდა შევასხათ ლოზუნგს იმის თაობაზე, რომ ყოველმა წიგნიერმა მოქალაქემ წერა-კითხვა ასწავლოს სამ-ხუთ უწიგნურს.

შეწყდეს ჩარევა და აგრესიული აქციები!

მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ მიიღო შემაჯამებელი დეკლარაცია

ლუანდა. ბრძოლა ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, თვით კაცობრიობის არსებობას რომ ემუქრება, ჩვენი დროის მთავარი პრობლემაა, ნათქვამია შემაჯამებელ დეკლარაციაში, რომელიც მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების აქ დამთავრებულ კონფერენციაზე მიიღეს. მტკიცე მშვიდობა და უშიშროება დედამიწაზე, აღნიშნულია დეკლარაციაში, შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეწყდება გამალებული შეიარაღება და გადაიდგმება ეფექტიანი ნაბიჯები საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე. დოკუმენტში გამოთქმულია შეშფოთება დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს იმ კურსის გამო, რომელიც მიზნად ისახავს გამალებული შეიარაღების, კერძოდ, ბირთვული შეიარაღების დაჩქარებას. დეკლარაცია აგრეთვე პლანეტის ხალხებს მოუწოდებს ძალღონე არ დაიშურონ ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი მშვიდობის ზონების შესაქმნელად.

ფორუმის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მიუმხრობელ ქვეყნებს დიდად აწუხებთ ვითარების გამწვავება მთელ რიგ რეგიონებში, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ აფრიკასა და ცენტრალურ ამერიკაში. მათ გულისწყრომით დაგმეს ისრაელის აგრესიული და ექსპანსიონისტური პოლიტიკა, რომელსაც იგი ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ახორციელებს, და სოლიდარობა გამოუცხადეს პალესტინელი ხალხის სამართლიან ბრძოლას. მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, ხაზგასმულია დეკლარაციაში, ვერ დამყარდება, თუ ისრაელი მთლიანად და უპირობოდ არ გაიყვანს ჯარებს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა პრეტორიის რასისტულ რეჟიმს ბრალად დასდეს სამხრეთ აფრიკაში დაძაბულობის გამძაფრება „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების საწინააღმდეგო აგრესიული გამოხდომებისა და სხვადასხვა ჯურის ტერორისტული ბანდების მხარდაჭერის გზით. მათ რეიგანის ადმინისტრაციის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკა დაახასიათეს როგორც რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციის პოლიტიკა. სამხრეთ აფრიკის პრობლემისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომას, აღნიშნეს მინისტრებმა, თვალნათლივ ცხადყოფს ვაშინგტონის ჩარევა ანგოლის საშინაო საქმეებში.

დაძაბულობის მატება ცენტრალურ ამერიკაში, ნათქვამია დოკუმენტში, გამოიწვია რეგიონის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის გაძლიერებამ, ვაშინგტონის ცდებმა, დაამხოს ნიკარაგუის კანონიერი მთავრობა. კონფერენციის დელეგაციებმა მოითხოვეს ნიკარაგუის საწინააღმდეგო აგრესიული აქციების შეწყვეტა და განაცხადეს, რომ სოლიდარობენ რესპუბლიკის ხალხს. მათ მხარი დაუჭირეს კონტადორული ჯგუფის მეცადინეობას, რომლის მიზანია ცენტრალური ამერიკის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება.

მინისტრებმა აღნიშნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიდი როლი საყოველთაო უშიშროებისათვის ბრძოლაში და უარყვეს ამერიკის შეერთებული შტატების ცდები დააკნინოს მისი როლი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

მიუმხრობელ ქვეყნებს, ნათქვამია დეკლარაციაში, სერიოზულად აწუხებთ მზარდი უთანასწორობა დასავლეთთან მათს ურთიერთობაში, კაპიტალისტური სამყაროს კრიზისები, რომლებიც აფერხებენ ახალგაზრდა სახელმწიფოების განვითარებას და დასავლეთის ვალი, უკვე 900 მილიარდ დოლარს რომ გადააჭარბა. თანამედროვეობის საარსებო პრობლემაა, ხაზი გაუსვეს შეხვედრის მონაწილეებმა, ახალი, სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დამყარება. ყველა ხალხის პროგრესში, აღნიშნეს მათ, უდიდეს წვლილს შეიტანდა სამხედრო ხარჯების შემცირება.

გადაწყდა, რომ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VIII კონფერენცია 1986 წელს მოეწყოს ზიმბაბვეს რესპუბლიკაში.

ფოტოკადრი ადასტურებს

გვატემალა: ტერორი სახელმწიფო პოლიტიკაა

დღევანდელი გვატემალა ერთ-ერთი ყველაზე ავბედითი დილეგია ლათინურ ამერიკაში. გვატემალის მხედრიონის მეშვეობით რეიგანის ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა სისხლში ჩაახშოს ყოველგვარი სახალხო გამოსვლები, ქვეყანაში შეინარჩუნოს ძირმომპალი პროამერიკული რეჟიმი.

უკვე 30 წელიწადზე მეტია, რაც გვატემალის ხალხი გენოციდის მსხვერპლია, რომელიც თეთრი სახლის დახმარებით ხორციელდება. ჯალათები წვავენ და ცოცხლად მარხავენ ადამიანებს, ვერტმფრენავებიდან მათ ზღვასა და ვულკანის კრატერებში აგდებენ, დასაშინებლად ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში ნაწამებ პატრიოტთა თავებჭრილ გვამებს ყრიან. 100 ათასზე მეტი მოკლული და 85 ათასამდე „უგზო-უკვლოდ დაკარგული“, 100 ათასზე მეტი ლტოლვილი — ასეთია ანტიხალხური რეჟიმების მმართველობის შედეგი.

გვატემალაში ძლიერდება მეხიის სისხლიანი რეჟიმისადმი უკმაყოფილება სასტიკი რეპრესიების, მშრომელთა ფართო მასების ცხოვრების გაუარესების გამო. როგორც ამ ცენტრალურამერიკული ქვეყნიდან გადმოცემულ რეპორტაჟში ენბი-სის კორესპონდენტი იუწყება, რიგით გვატემალელთა ოჯახებს ხშირად ძირითადი საარსებო საშუალებები...

...სუ-რსათის, მათ შორის პურის, საყიდელი სახსრებიც კი არ აქვთ. გვატემალელთა 75 პროცენტი ოფიციალური „სიღარიბის ზღურბლზე“ უარესად ცხოვრობს. ინფლაციის ზრდის ტემპი 60 პროცენტს აღემატება.

გასულ კვირას საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირება ის ბოლო წვეთი იყო, რომელმაც გვატემალელი ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. მღელვარება დაიწყო უნივერსიტეტის ახალგაზრდობას შორის. გამოსვლებმა მოიცვა აგრეთვე უღარიბესი უბნები. უკმაყოფილების დასათრგუნავად პოლიციის გაძლიერებული რაზმები გამოიყვანეს.

სურათზე: გვატემალის ეროვნული უმცირესობანი რეზერვაციებში ჰყავთ გამომწყვდეული.

საქდესის ფოტო.

დანიშვნა

პასუხისმგებლობა აწმყოსა და მომავლის წინაშე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ნოდარ სარდიონის ძე ამაღლობელი.

უნივერსიტეტის მეცხრამეტე რექტორის მთელი ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია ამიერკავკასიის ამ უძველეს უმაღლეს სასწავლებელთან: 1953 წელს მან დაამთავრა ფიზიკის ფაკულტეტი, მუშაობდა აქ ლაბორანტად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის გამგედ, შემდეგ ხელმძღვანელობდა მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის საპრობლემო სამეცნიერო-კვლევითს ლაბორატორიას, 1980 წელს, იყო რა უკვე პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტს, რომელიც ამ ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა. 1981 წლის აგვისტოდან, იყო რა ამ ინსტიტუტის დირექტორი, ნ. ს. ამაღლობელი გახდა უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, კოორდინაციას უწევს გამოკვლევებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. იგი პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატია, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით.

ნ. ს. ამაღლობელი კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. ბირთვული ფიზიკის პრობლემების შესახებ მეცნიერის 90-ზე მეტმა ნაშრომმა მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა ნ. ს. ამაღლობელი დაახასიათა როგორც „ფიზიკოს - ექსპერიმენტატორი, რომლის ნაშრომებმა არსებითი წვლილი შეიტანა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განვითარებაში“.

ცნობილია ნ. ამაღლობელის მეთოდი ბირთვული ურთიერთმოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის განსაზღვრისათვის. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული გამოკვლევა ქვეყნის უდიდეს სერპუხოვის ამჩქარებელზე ელემენტარული ნაწილაკების დარგში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ აღნიშნა როგორც ქვეყანაში 1984 წელს მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა. მისი შედეგი საფუძვლიანად ცვლის თანამედროვე შეხედულებას ბირთვული მატერიის სტრუქტურასა და თავისებურებებზე.

იგი აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა. როგორც თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი ნ. ამაღლობელი გახდა მთელი რიგი საპრობლემო დარგობრივი ლაბორატორიების შექმნის ინიციატორი, რომლებიც ეწევიან მრავალ პერსპექტიულ თანამედროვე სამეცნიერო სამუშაოებს, პირდაპირ რომ ინერგება პრაქტიკაში და უზრუნველყოფს მეცნიერების წვლილის გადიდებას სახალხო მეურნეობაში.

— აზროვნების ფართო მასშტაბი, ახლის გამახვილებული გრძნობა, დაკისრებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობა, ახალგაზრდობის დიდი სიყვარული, რაც ნ. ამაღლობელს ახასიათებს, გვარწმუნებს, რომ იგი ყველაზე შესაფერისი კანდიდატურაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე — ასეთია მაღალი ენერგიების ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთსულოვანი აზრი. მეცნიერის მიერ შექმნილი ავტორიტეტული სამეცნიერო ცენტრის კოლექტივი თავის ხელმძღვანელს დიდ წარმატებებს უსურვებს ახალ პასუხსაგებ ადგილზე.

— რა მიგაჩნიათ თქვენი, როგორც რექტორის, ამოცანად? — საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვაზე ნოდარ ამაღლობელმა უპასუხა:

— მთლიანად მაქვს შეგნებული დაკისრებული პასუხისმგებლობა და მზად ვარ გავამართლო იმედი. ვიცი, უამრავი საზრუნავი და საქმე მექნება. ჩვენი უნივერსიტეტი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ცოდნის ტაძარია. იგი ფაქტობრივად საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების პიონერია. ვფიქრობ, რომ რექტორატის, პარტიული ორგანიზაციის, პროფესორების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების ძირითადი ყურადღება უნდა მიეპყროს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი როლი აგრეთვე გარკვეული სამეცნიერო მიმართულებების განვითარებაში, სამეცნიერო ნაშრომების დანერგვაში. უნდა ითქვას ისიც, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა, განსაკუთრებით ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებას. ეს ხომ ცოდნის ის დარგებია, რომლებიც ადამიანს აყალიბებს როგორც მოქალაქეს, როგორც მამულიშვილს.

დიდ მომავალ მუშაობაზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიღებისას დაშვებული უხეში დარღვევების შესახებ. მესმის, რომ აქ ჩვენი ბრალიც არის — მიმღებ კომისიას და უმაღლესი სასწავლებლის სხვა სამსახურებს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, ამგვარი ფაქტების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, დადგენილება გვისახავს დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა.

თბილისის უნივერსიტეტს მდიდარი ტრადიციები აქვს. გავიხსენოთ, თუნდაც, მისი არაერთგზისი გამარჯვება ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ტრადიციების რიცხვს განეკუთვნება ურთიერთსასარგებლო კავშირ-ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. განვაგრძოთ და ვამრავლოთ იგი, წვლილი შევიტანოთ პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში — ეს მიგვაჩნია ჩვენს მიზნად და ძირითად დანიშნულებად.

— გავლენას ხომ არ მოახდენს თქვენი ახალი მოვალეობა სამეცნიერო მოღვაწეობაზე?

— გარკვეულწილად შეიძლება მოახდინოს. მაგრამ სამეცნიერო კვლევას თავს არ დავანებებ. ერთი რამ კი უეჭველია: მომიწევს კიდევ უფრო შევამჭიდროვო სამუშაო დღე.

და კიდევ. ვეცდები ყოველი ღონე ვიხმარო, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოს სახალხო მეურნეობისა და მეცნიერებისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აღზრდის ნამდვილი ცენტრი, გაამართლოს თავისი მაღალი დანიშნულება, პასუხისმგებლობა აწმყოსა და მომავლის წინაშე.

მიღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

9 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ მიიღო თბილისში მიმდინარე საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის კოლოკვიუმის მონაწილენი.

ამხ. ჩერქეზიამ ილაპარაკა ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესახებ, სტუმრებს გააცნო საბჭოთა საქართველოს მიღწევები ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სხვადასხვა დარგში.

აღინიშნა, თუ რა დიდი როლი ეკისრება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ამგვარ შეხვედრებს და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის VI კოლოკვიუმი ახალ წვლილს შეიტანს ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგების გაღრმავებაში, ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებას.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის პრეზიდენტმა, ბუნდესტაგის დეპუტატმა დიტრიხ შპერლინგმა კოლოკვიუმის მონაწილეთა სახელით მადლობა გადაიხადა გულითადი მასპინძლობისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. ივანოვი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე.

პარტნიორთა ახალი შეხვედრა

თბილისისა და საარბრიუკენის პარტნიორული ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის ქალაქების მეგობრული კონტაქტების მაგალითი შეიძლება იყოს. ეს აღინიშნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის VI კოლოკვიუმის მონაწილეებთან შეხვედრაზე.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. მესხიშვილმა სტუმრებს გააცნო თბილისის 1500 წლის ისტორია, ესაუბრა საქალაქო მეურნეობის განვითარების, მისი სამსახურების მუშაობის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ. მან უპასუხა სტუმართა კითხვებს, რომლებიც ეხებოდა ქალაქში ბუნების დაცვითს საქმიანობას, საზღვარგარეთის ქალაქებთან თბილისის პარტნიორულ ურთიერთობას.

საარბრიუკენის ობერბურგომისტრმა ჰანს-იურგენ კებნიკმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და საარის მხარის დედაქალაქებს შორის პარტნიორობის დამყარების შესახებ 10 წლის წინათ დადებულ შეთანხმებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ორი ქვეყნის ხალხთა ნდობის განმტკიცების საქმეში.

ოჯახი

ფიქრები აღზრდაზე

როგორი მამა სჭირდებათ შვილებს

...**რამდენიმე** დღეში ჩვენი სკოლის მეორეკლასელების მშობელთა კრება იქნება. მასწავლებლებს განსაკუთრებული ლაპარაკი მამებთან მოგვიწევს. ბავშვები გარდამავალ ასაკში შედიან და სწორედ ახლა უნდა ვიზრუნოთ, რომ დავაზღვიოთ ისინი ზოგიერთი უარყოფითი გავლენისაგან.

აღზრდა ფარული პროფესიაა. ზოგჯერ მშობლებს ჰგონიათ, რომ ზრდიან შვილებს, რადგან, როგორც თვითონვე უყვართ ხოლმე თქმა, არაფერს აკლებენ: ლამაზად აცმევენ, კარგად აჭმევენ, სათამაშოებით ავსებენ, ეფერებიან და ეალერსებიან, ათამამებენ და, რაღა თქმა უნდა, ჭკვიანურ დარიგებებსაც აძლევენ, სჯიან კიდეც სიცელქისა და დანაშაულისათვის. ამ დროს კი ბავშვმა შეიძლება თვალებში გიყუროს და იმაზე იფიქროს, როგორ მოგხიბლოს, როგორ დაგისხლტეს ხელიდან.

აღზრდა მხოლოდ მაშინ იქნება ჭეშმარიტ სულიერ თანაზიარობაზე დამყარებული, როცა აღმზრდელი შეძლებს კეთილად განაწყოს ბავშვი მისი დარიგებების, მისი პირადი მაგალითის, პიროვნების მიმართ. თუ შვილსა და მშობლებს შორის ასეთი სულიერი ერთობა არ არსებობს, მაშინ აღზრდაზე ლაპარაკიც ტყუილია, იგი ილუზორული იქნება.

მამა, რომელიც ლოთობს და უდარდელად ატარებს დროს, სრულფასოვანი აღმზრდელი ვერ იქნება. ვთქვათ, თქვენ კეთილი გული გაქვთ და ზოგჯერ ანებივრებთ ხოლმე შვილს საჩუქრებით, გასეირნებებით; ვთქვათ კიდევ, რომ შვილისათვის ისეთი ადამიანი ხართ, როგორიც თვითონ უნდა გახდეს; მაგრამ ამავე დროს ბავშვი ხედავს თქვენს სიმთვრალეს, უყურებს, როგორ ამაყად გიჭირავთ ორი თითით სიგარეტი და პირიდან კვამლის რგოლებს უშვებთ, როგორ უდარდელად ატარებთ დროს. რა შეიძლება მოხდეს ამ შემთხვევაში? კარგი და სასიამოვნო არაფერი: ბავშვს უყვარს მამა და ამიტომ მოსწონს კიდეც ყველაფერი, რის მაგალითსაც მამა აძლევს, ხალისითაც მიჰბაძავს მას. ვერაკვერ გაჰრის თქვენი კეთილი დარიგებანი, ვეღარც საჩუქრებით მოისყიდით ბავშვს, რაც უფრო გაიზრდება, ვეღარც დააშინებთ. მაგრამ უჩვენით მას ნამდვილი ვაჟკაცობის, შრომის, ზნეობრივი ქცევების საუკეთესო ნიმუშები და თქვენი აღმზრდელობითი პროცესიც შედეგიანი მაშინ იქნება.

ბევრ ოჯახში ბავშვებს აკლიათ მამის ზრუნვა, მამასთან სულიერი სიახლოვე. მამა სამუშაოზეა და გვიან ბრუნდება. ბავშვი კი უცდის: „მამიკო მალე მოვა!“ — და ამ მოლოდინში ჩაეძინება. და თუ ასე გაივლის კვირა, თვე, ასე გაივლის წლები, მაშინ ისეთი პარადოქსიც აღმოცენდება, როცა მამა ვერც კი შენიშნავს, როგორ გაიზარდნენ შვილები. მთელი ოჯახი თითქოს ერთ ბინაში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, მიუხედავად ამისა მამა და შვილები ერთმანეთს კარგად არ იცნობენ, ერთმანეთისათვის რაღაცნაირად გაუცხოებულნიც კი ხდებიან.

გავიდა დრო, და მამის კეთილმყოფელი აღმზრდელობითი გავლენაც შესუსტდა. მამასა და შვილებს შორის ურთიერთობა შეიძლება დაიძაბოს კიდეც ან ფორმალურ პატივისცემად გადაიზარდოს.

ჩვენ ხშირად ვჩივით, რომ სკოლაში მამაკაცი მასწავლებლები ძალიან ცოტანი არიან, პედაგოგიური კოლექტივები ქალებით გაივსო. და ვხედავთ, რომ ეს უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდების ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ამ დროს კი იგივე ხდება ბევრ ოჯახში: ბავშვების აღზრდას ხელმძღვანელობენ დედები, ბებიები, დეიდები და, კიდევ კარგი, ზოგჯერ პაპებიც. ამ ქალური მზრუნველობის გარემოცვაში ბავშვის აღზრდის რაღაც საშიშროება იმალება, ძნელიც კია ვთქვათ, რა საშიშროებაა ეს, მაგრამ იგი არსებობს. არც შეიძლება არ არსებობდეს, რადგან სრულფასოვანი, სოციალურად განსაზღვრული, კეთილმყოფელი აღმზრდელობითი ვითარება ოჯახში მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა დედა და მამა შეთანხმებულად და გონივრულად ზრუნავენ შვილებზე, თავ-თავის, მაგრამ ერთიან მოთხოვნებს უყენებენ მათ.

ცხადია, მამა ოჯახში ის ძალა კი არ არის, რომლითაც შვილები შეიძლება დავაშინოთ. მამა ოჯახის სიამაყე და უდიდესი ავტორიტეტია. ის შრომობს, რომ ოჯახი შეინახოს, ზრუნავს ოჯახის ყველა წევრზე. ოჯახის ცხოვრებაში მისი შრომითი წვლილი უანგაროა. ამიტომაც უფლება აქვს, ვალდებულიც კია მოჰკითხოს თავის შვილებს, როგორ ამრავლებენ ისინი თავის მხრივ მამის შრომას კეთილი ქცევებით, ზრდილობით, კარგი სწავლით, როგორ ასახელებენ მშობლებს. „ვუთხრა ეს მამას?“ — საყვედურით ჰკითხავს ხოლმე დედა შვილს, რომელმაც რაღაც დანაშაული ჩაიდინა, ის კი უპასუხებს: „ნუ ეტყვი, დედა მეტს აღარ ვიზამ!“ საოჯახო აღზრდის ერთიანობა, შვილისა და მამის სულიერი თანაზიარობა იმაში გამოჩნდება, თუ რას გამოხატავს შვილი ამ სიტყვებში: შიშს იმ ადამიანის წინაშე, რომელმაც დანდობა არ იცის, თუ ზრუნვას ადამიანზე, რომლის წინაშეც ყველა მორალურ ვალდებულებას გრძნობს.

ბავშვს სჭირდება, მამა, რომელიც თავისი შვილების ცხოვრებით ცხოვრობს, ასწავლის მათ სიმამაცეს, პატიოსნებას, სამართლიანობას, ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვას, უნერგავს შრომისმოყვარეობასა და სიცოცხლის ხალისს. ბავშვს მამა სჭირდება — უნებისყოფო კი არა, ყველანაირ კაპრიზს რომ უსრულებს, არც ლოთი და უხეში, ცოლსა და შვილებზე საცემრად რომ მიიწევს, არამედ ისეთი, მეზობლებსა და ახლობლებში თავისი სიკეთით და გულისხმიერებით რომ არის განთქმული. მას ისეთი მამა უნდა, რომელსაც ზოგჯერ დაავიწყდება ხოლმე, რომ უკვე დიდია და, როგორც ყველაზე ცელქი ბიჭი, ისე იწყებს შვილებთან თამაშს.

ბავშვი იზრდება, მოზარდობაში შედის. ახლა მას სჭირდება არა მამიკო, არამედ მამა. ეს აზრიც ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. მოზარდს სჭირდება მამა — საზოგადოებრივი პიროვნება, შრომის ოსტატი, შემოქმედებითი შრომით შთაგონებული ადამიანი, კომუნისტური იდეალებისათვის მებრძოლი. მას სჭირდება მამა, გულისხმიერი და ბრძენი დამრიგებელი, რომელსაც კარგად ესმის ვაჟიშვილისა და ქალიშვილის საზრუნავი, მკაცრი და მომთხოვნია საკუთარი თავისა და სხვების მიმართაც. მოზარდს უნდა, რომ მამამისის სიტყვა და საქმე არ სცილდებოდეს ერთმანეთს, იყოს ძლიერი თავისი მიზნითა და ერთგულებით. მოზარდს სჭირდება მამა, რომელსაც ოჯახში შემოაქვს ხვალინდელი დღის რწმენა, სიმშვიდე, ურთიერთ ზრუნვა და გულისხმიერება. მოზარდს სჭირდება მამა, რომელსაც შეიძლება ენდოს და რომელიც თავად მიდის შვილთან, რომ გულწრფელი საუბარი გაუმართოს.

მოზარდ ჭაბუკს თუ ქალიშვილს ძალიან უნდა, რომ მამამისი ყველგან პატივისცემით იხსენიებოდეს, კარგი ავტორიტეტი ჰქონდეს. ის გულისხმიერი, მოალერსე ქმარია. ზრუნავს მოხუც მშობლებზე, სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა მათ. მას ესმის თანამედროვე ახალგაზრდებისა, სჯერა მათი, სჯერა თავისი ვაჟიშვილისა და ქალიშვილის. აქეზებს და დიდი საქმეებისთვის აღაფრთოვანებს მათ, ჩააგონებს შრომის რომანტიკას, სიკეთისათვის ბრძოლას, უანგარო მეგობრობას, ამაღლებულ სიყვარულს. თავისი მაგალითით უჩვენებს, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პატრიოტი, ქვეყნის ბედ-იღბალზე მზრუნველი მოქალაქე, ინტერნაციონალისტი.

ბავშვს, მოზარდს, ჭაბუკს, ქალიშვილს სჭირდება მამა, მაგრამ მამებიც არიან და მამებიც!

არიან მამები, რომლებსაც შვილები პატარაობიდანვე თავიანთ სამუშაოზე მიჰყავთ, ასწავლიან საკუთარ ხელობას, უანდერძებენ, რომ არ შეარცხვინონ ამ ქარხანაში მამის კეთილი სახელი.

მაგრამ არიან მამები, რომლებიც თავიანთ არასრულწლოვან შვილებს სიგარეტებისა და ბოთლი ღვინის საყიდლად მაღაზიაში გზავნიან, კიდევ აიძულებენ, რომ ღვინოსა და არაყს გემო გაუსინჯონ.

არიან მამები, რომლებიც თავიანთ შვილებს ისეთ უმდიდრეს და განუყოფელ მემკვიდრეობას უტოვებენ, როგორიც არის პატიოსნება, უბრალოება, სიამაყე საკუთარი შრომის გამო, სახელოვანი ოჯახური ტრადიციები. ისინი შვილებს ასწავლიან თავმდაბლობას, ზომიერებას, უნერგავენ მაღალ სულიერ მოთხოვნილებებს.

მაგრამ არიან მამებიც, რომლებიც ცდილობენ თავიანთ შვილებს უზრუნველად გაატარებინონ მთელი სიცოცხლე და არ ესმით, რომ ამით მათ შრომის, ბრძოლისა და წარმატების სიხარულს ართმევენ.

ერთხელ შევესწარი საუბარს მამაზე, რომელიც დაუფიქრებლად გადაეშვა აბობოქრებულ მდინარეში და საკუთარი სიცოცხლის რისკით სამი პატარა ბიჭუნა დაღუპვას გადაარჩინა. ხომ ადვილი წარმოსადგენია, როგორ იამაყებდნენ ამ კაცის შვილები და როგორ განუმტკიცდებოდათ ადამიანებისადმი სიყვარული და თავდადება.

მაგრამ ისეთი მამაც ვიცი, რომელმაც თავის არასრულწლოვან შვილს სათამაშო სანადირო თოფი მისცა, მან კი არ იცოდა, როგორ უნდა ეხმარა იგი და გამოუსწორებელი უბედურება მოახდინა.

საკუთარი მშობლების გამო სიამაყის განცდა ბავშვის პიროვნების მორალური გაფურჩქვნის უმთავრესი პირობაა:

საკუთარი მშობლების გამო სირცხვილის განცდა კი ის სიმძიმეა, რომელიც ბავშვს ფრთების გაშლის საშუალებას არ აძლევს.

აი, რას წერდა ერთი მეორეკლასელი: „მე ახლა იმ საწოლში მძინავს, რომელშიც მამა იწვა, დედის გვერდით. დედა და მე ერთდროულად ვწვებით. მიყვარს ძილის წინ დედასთან საუბარი, მე სკოლის ამბებს ვუამბობ, დედა კი თავისი სამსახურის საქმეებზე მესაუბრება. მაგრამ, როცა დედას ვეკითხები, მამა რატომ არ ბრუნდება-მეთქი, დედა მეუბნება: „ალბათ, ძალიან ვაწყენინე და იმიტომ“. დედა მართალს არ ამბობს, სინამდვილეში მამამ აწყენინა, ის დედას წაეჩხუბა და სხვა ქალთან წავიდა. დედას ვკითხე: „შენც რომ სხვა კაცი შეგიყვარდეს, მამასავით მიმატოვებ?“ დედამ მითხრა: „სულელო, მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, როგორ მიგატოვებ“. „მაშ, რატომ მიმატოვა მამამ? მე მამა მინდა, ის რო საჩუქრებს მიგზავნის. ძალიან მიყვარდა მამა, [illegible] მიყვარს თუ არა“.

გაეცნობა [illegible] ამ ნაღვლიან ფიქრებს და შეეცდება რაღაც აუხსნას მასწავლებელს, თავი გაიმართლოს. მაგრამ რაში ჭირდება მასწავლებელს მისი განმარტებანი? ის ხომ მისი სინდისისა და მორალის მსაჯული არ არის! დაე თვითონ გადაწყვიტოს, როგორ იცხოვრებს მომავალში, ოღონდ ნუ დაივიწყებს, რომ შვილის აღზრდის კეთილ ძალას და თავად შვილის სიყვარულსაც კარგავს.

აქვს თუ არა უფლება მასწავლებელს გულახდილად პრინციპულად ელაპარაკოს მშობლებს, ისიც მამებს? ხომ შეიძლება უთხრან: „ძვირფასო პედაგოგო, რას ერევით ჩვენს პირად ცხოვრებაში, ოჯახურ საქმეებში? რაღა თქვენი საყვედურები და დარიგებანი გვინდა, ისედაც გვიმძიმს! არ ჯობია სკოლაში თქვენს საქმეებს მიხედოთ?“

არა, მათ არა აქვთ უფლება ასე უპასუხონ მასწავლებელს!

არა აქვთ ამის ნება იმიტომ, რომ ის მარტო მათი შვილების მასწავლებელი და აღმზრდელი კი არა, სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი და უფლებამოსილი პირია. მას დავალებული აქვს აღზარდოს ახალი ადამიანები, მომავლის ადამიანები, ამიტომაც არავის მისცემს უფლებას, ხელი შეუშალოს ამ ამოცანის განხორციელებაში, თვით მშობლებსაც კი! ბავშვების დაცვა, თითოეული მათგანის განუმეორებელი ბედის გამოჭედვა მასწავლებლის უმაღლესი საზრუნავი, მისი პროფესიული ვალია და მისი მოწოდება! აი, რას ემყარება მისი უფლება!

შალვა ამონაშვილი.

როცა ერთი ინტერესით ცხოვრობენ

რესპუბლიკის საერთო წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვს თბილისის ცხიმკომბინატსაც. მას რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა „კომუნისტური შრომის საწარმოსა“ და „უსაფრთხო შრომისა და სანიმუშო დისციპლინის საწარმოს“ საპატიო წოდებანი. კომბინატის ხელმძღვანელობამ კარგად იცის ის ძველისძველი ჭეშმარიტება, რომ შრომის ნაყოფიერება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პირობებში უხდება მუშაობა, დასვენება და, საერთოდ, ცხოვრება მუშასა თუ სპეციალისტს. პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი კომისიის „სკოლა-წარმოება-ოჯახი“ მიზანიც სწორედ მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშრომელთა პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა გახლავთ. პარტბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ წარმოებისა და ოჯახის ურთიერთობის საკითხებს. კომისიას დიდი მეგობრობა აქვს სამეფო — თბილისის 89-ე საშუალო სკოლასთან, სადაც თანამშრომელთა შვილები სწავლობენ. მარტო წლეულს კაპიტალური რემონტისათვის კომბინატმა სკოლას 20 ათასი მანეთი გამოუყო, ლაბორატორიების აღსაჭურვად — კიდევ 20 ათასი მანეთი. 89-ე სკოლის მოსწავლეები შრომითს სემესტრს ყოველწლიურად ცხიმკომბინატში ატარებენ. ბევრმა ახალგაზრ- [illegible] და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს. აქვეა ახალგაზრდული ბარიც, სადაც ეწყობა საზეიმო შეხვედრები ვეტერანებთან, იმართება მუშად კურთხევის ცერემონიალი, პენსიაზე გაცილება. ყოველწლიურად სამეფო სკოლის კურსდამთავრებულებს ატესტატებსა და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს კომბინატის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი შ. ქუტიძე.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაშია ტექნიკური კაბინეტი და ბიბლიოთეკა, სპორტული კომპლექსი, მშვენიერი ავეჯით გაწყობილი 100 ადგილიანი სასადილო, ახალი 50 საწოლიანი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, კბილის ექიმის კაბინეტი კომბინატის ტერიტორიაზე, 60 ადგილიანი კომფორტული საერთო საცხოვრებელი.

ხელმძღვანელობამ იმისთვისაც იზრუნა, რომ თანამშრომლებს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატიც ჰქონოდათ —, ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახერო, სამკერვალო, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, ქიმწმენდისა და თეთრეულის მიღების პუნქტი.

მუშა-მოსამსახურეთა კვების გასაუმჯობესებლად აქ შეიქმნა მეღორეობისა და მეფრინველეობის დამხმარე მეურნეობა, აქვთ მეფუტკრეობის, ხილბოსტნეულის მეურნეობა, აგებენ თევზის მოსაშენებელ აუზს. დამხმარე მეურნეობა მთლიანად [illegible]

ნაყოფი ტკბილი, ნაყოფი მწარე

აღზრდის სათავე ოჯახია. აღზრდას თავისი დრო აქვს და მშობელს ეს დრო არ უნდა გამოეპაროს. ზოგიერთი დედა ფიქრობს, ჩემი შვილი ჯერ პატარაა... ეს გამოუსწორებელი შეცდომაა. ბავშვის ადამიანად აღზრდა დაბადებიდან, მცირე ასაკიდან იწყება, რასაც ამ დროს შეითვისებს ყმაწვილი, შემდეგ მისი წაშლა ძნელია.

ახლა რომ ჩემს ბავშვობას ვიხსენებ, ვფიქრობ: რა ბედნიერება მხვდომია წილად, ბუნებამ ასეთი კარგი დედ-მამა რომ მიბოძა-მეთქი. რა არის ბავშვის ბედნიერებისათვის აუცილებელი? უპირველეს ყოვლისა, მშობლების სიამტკბილობა, ოჯახის წევრთა ჰარმონიული ურთიერთობა. მშობლების უხეშობა, უხიაგობა, სიფიცხე მძიმედ მოქმედებს მოზარდის ხასიათზე, გუნება-განწყობილებაზე. არ მახსოვს შემთხვევა, ჩემს მშობლებს ერთმანეთისათვის ოდნავ აწეული ხმით ან უხეში სიტყვებით რომ მიემართოთ, ამიტომ იყო, ალბათ, ჩვენი ოჯახი სიცოცხლითა და სიხარულით სავსე.

ოჯახში ოთხი და ვიზრდებოდით. განსაკუთრებული მოწიწებითა და მოკრძალებით გვიყვარდა მამა. იგი სათნოების, გულისხმიერების ჭეშმარიტი განსახიერება იყო. მამა გვინერგავდა ყოველგვარ სიკეთეს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ბუნებასთან სიახლოვეს. ხშირად იტყოდა, ბუნება ადამიანს აკეთილშობილებს, ნამდვილ ადამიანად ხდისო.

ბუნებასთან ჩემი სიახლოვე სიყმაწვილიდანვე დაიწყო ქუთაისის ერთ ლამაზ ეზოში, სადაც ბავშვობა გავატარე. ამ ეზოს ზოგიერთები ედემის ბაღს უწოდებდნენ. აქ წელიწადის ყველა დროს თავისებური სილამაზე და სიხარული მოჰქონდა ჩვენთვის. მამა ადრიანი გაზაფხულიდანვე იწყებდა მუშაობას ეზოში: სხლავდა, ამყნობდა, ბარავდა, თოხნიდა, თესავდა. ბავშვები გაფაციცებით შევყურებდით მამის საქმიანობას და გვერდიდან არ ვცილდებოდით. დიდ სიხარულს გვანიჭებდა ბალახის მწვანედ აბიბინება, ხეხილის სხვადასხვა ფრად აფეთქება, აყვავილება, შეფოთვლა, ნაყოფის მოსხმა და დამწიფება. ჩვენი კოპწია სახლის აღმოსავლეთით ოთხკუთხა ფორმის დეკორატიული ბაღი იყო გაშენებული. რა ყვავილი გინდა, რომ იქ არ იყო. ვარდის ყვავილობისას დილაადრიან ბულბულიც მოფრინდებოდა ხოლმე. მის საამურ სტვენას სულგანაბული ვუსმენდით. გაზაფხულიდან ჩვენს ეზოში ფუთფუთებდნენ პატარ-პატარა წიწილები, ინდაურის ჭუკები, იხვები. ეზოში სიცოცხლე დუღდა. აქ ვისწავლე შრომა და გავიგე შრომის ფასი.

ჩვენ ძალიან მზრუნველი დედა გვყავდა. იგი სიცოცხლისა და სიკეთის წყარო იყო ჩვენთვის. ახლაც ყურში მიდგას მისი ტკბილი იავნანა, სიხარულის მომგვრელი, დამამშვიდებელი.

დედა იყო ჩვენი პირველი მასწავლებელი. მან გვაზიარა ხალხურ სიბრძნესა და პოეზიას. სულ აფორიზმებით, ანდაზებით, არაკებით და ზღაპრებით გვინერგავდა სამშობლოს სიყვარულს, სიბეჯითეს, გამბედაობას.

დედა და მამა სტუმართმოყვარენი იყვნენ. სტუმრები გამოულეველი გვყავდა, მაგრამ ჩვენთან არასოდეს არ იმართებოდა წესგადასული ლრეობები. კვებაც ზომიერი გვქონდა. პურსა და სხვა საჭმელებს არასდროს არ ვყრიდით სანაგვეში. დედა მომჭირნეობასაც გვაჩვევდა, ხშირად გვეტყოდა, თქვენ ქალები ხართ და თქვენი ოჯახის ხვავი და ბარაქა თქვენს ხელთ იქნებაო.

დედას თავის მოწოდებად მიაჩნდა ავადმყოფების, გაჭირვებულების, მათხოვრების დახმარება. მახსენდება: ჩვენთან ერთი უპატრონო, მათხოვარი კაცი დადიოდა. ძალიან ჭუჭყიანი იყო. ერთხელ დედამ და მამამ ეზოში დაანთეს ცეცხლი, გაათბეს წყალი, იმ კაცს გადაპარსეს თმა, დაბანეს, მისი ძონძები დაწვეს და სუფთა ჩააცვეს. ეს დაუვიწყარი ზნეობრივი გაკვეთილი იყო ჩვენთვის.

ასეთი ბუნებრივი გარემოს და მშობლების ტაქტიანი მომთხოვნელობის შედეგი იყო, ალბათ, რომ სწავლას თავიდანვე ბეჯითად მოვკიდეთ ხელი. ერთხელ დედა სკოლაში მოვიდა ჩვენი წარმატების გასაგებად და როგორ გაიხარა, როცა მასწავლებლებმა უთხრეს, თქვენი შვილები სწავლაშიც და ყოფაქცევითაც საუკეთესო არიან, ნეტა, თქვენნაირი დედები ბევრი გვყავდესო!

დედობა და მამობა დიდი საპატიო მოქალაქეობრივი მოვალეობაა, და ვინც ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ქების და დიდების ღირსია. აი, რა მინდა ახსოვდეს ყველა ახალგაზრდას ვინც ოჯახს მოჰკიდებია: არც ერთ საქმიანობაში გაწეული ჯაფა, ღვწა და ამაგი არ დაგვიბრუნდება ისეთი დიდი სიკეთითა და მოგებით, როგორც შვილებზე გაწეული ამაგი. და არც ერთი შეცდომა, ნებსით თუ უნებლიედ, არ მოგვცემს იმდენ მწარე ნაყოფს, როგორც მშობლის მოვალეობის აღსრულებისას დაშვებული ხარვეზი. ამ მწარე მოსავალს იმკიან მერე მთელი სიცოცხლის განმავლობაში მარტო მშობლები კი არა, მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა.

მავრა ფრუიძე,
პედაგოგი.

კარგია ბავშვებისთვისაც, მშობლებისთვისაც

[illegible] თა შორის, იქ ბევრი ჩვენი თანამშრომლის შვილები სწავლობენ. ვთხოვეთ დირექციას გამოეყო პედაგოგები გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის, [illegible]

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის კოლოკვიუმი

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის ხელშეკრულება ომისშემდგომი დროის ერთ-ერთი ფუძემდებელი დოკუმენტია. მან კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ევროპაში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მთელ კომპლექსზე. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის IV კოლოკვიუმზე, რომე- [illegible]

ომის მნახველი კალამი

დრო და მწერალი

ომი მუდამ იყო ყველაზე უფრო მძაფრი დრამატიზმით აღსავსე, ყველაზე უფრო ტრაგიკული მოვლენა როგორც ცალკე ადამიანის, ისე მთელი ერისა თუ სახელმწიფოს, საერთოდ, მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში. ასე აღიქვამდა მას ყველა ხალხის ლიტერატურა, რომელიც გმობდა მტაცებლურ და ყაჩაღურ ომს, დაწყებულს უცხო მიწის მისათვისებლად და მეზობელი ხალხის გასაძლეტად; ამავე დროს, მოწინავე მწერლობა მუდამ მხარს უჭერდა და მიესალმებოდა თავისუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლას, განმათავისუფლებელ ომს, რომელიც წარმოებდა თავდამსხმელისა და მიმხდომის ალაგმვისა და განდევნის მიზნით. ხალხის გადარჩენის მიზნით. საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა იხსნა და გადაარჩინა არა მარტო ჩვენი სამშობლო, არამედ მთელი მსოფლიო ფაშისტური შავი ჭირისაგან. ბუნებრივი და გასაგებია, რომ ამ დიდი ომის დროს მწერალი თავის ხალხთან, მის საუკეთესო შვილებთან იყო, რომლებიც იარაღით ხელში თავდადებით იბრძოდნენ მაღალი საკაცობრიო იდეალების დასაცავად. ომი უშუალოდ შეიჭრა მწერლის ბიოგრაფიაში. იმ წლებში სიტყვის არაერთმა ოსტატმა ჩაიცვა ჯარისკაცის რუხი მაზარა, მათ სასახელო რიგებს ეკუთვნოდა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

თუ როგორ მოხდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ჩარიცხვა მოქმედ არმიაში, კერძოდ, ანაპის 414-ე ქართული დივიზიის მებრძოლთა რიგებში, ეს ცალკე ამბავია, უკეთ, ცალკე სიუჟეტია, რომელიც ერთნაირად საინტერესოა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიისათვისაც და, საერთოდ, იმ შფოთიანი დღეთა მატიანისათვისაც. საქმე ასე იყო: ქართულ დივიზიას, ჩრდილო კავკასიის ფრონტის ჯარებთან მხარდამხარ, უნდა გაერღვია გერმანელების ეგრეთ წოდებული „ცისფერი ხაზი“ სიმაგრეები. ეს არ იყო იოლი საქმე და ამ დიდი შეტევისათვის ქართული პოლკები გულმოდგინედ ემზადებოდნენ. დივიზიის შტაბი სტანიცა ოლგინსკაიაში იყო. სწორედ მაშინ დივიზიას ქართველი მწერლების მთელი ჯგუფი ესტუმრა, მათ შორის იყო კონსტანტინე ლორთქიფანიძეც. ისინი აქ გამოგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდა როგორც საბჭოთა არმიის ეროვნული დივიზიების ჩამოყალიბებისა და გამოწრთობისათვის, ისე მთლიანად კავკასიის დაცვისათვის; მწერალთა ბრიგადებიც — ამ დიდი და ისტორიული საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა თუ სახეობა იყო. დღისით მწერლები ესაუბრნენ მეომრებს, წაუკითხეს ლექციები, გადასცეს საჩუქრებიც და გულითადი მოკითხვაც, რაც საქართველოს მშრომელებმა დაავალეს. ვახშმობის შემდეგ ჭვეულმა თავის მიწურს მიაშურა, დივიზიის მეთაური გიორგი ყურაშვილიც თავის მიწურში შევიდა, ტანსაცმელი გაიხადა, საბანი წაიხურა და ის იყო, ჩასთვლიმა, რომ ხელის შეხება იგრძნო. უმალ გამოფხიზლდა და საწოლზე წამოჯდა. მის წინ ახლად მოსული სტუმარი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე იდგა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ გაგაღვიძეთ! — უთხრა მწერალმა დივიზიის მეთაურს.

— არაფერია! დაბრძანდით, რამ შეგაწუხათ?

— ერთი სათხოვარი მაქვს, გიორგი!

როგორც ხედავთ, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჯერ არ იცავს სამხედრო სუბორდინაციის მკაცრად დადგენილ წესებს, დივიზიის მეთაურს სახელით მიმართავს.

— ბრძანეთ! — წარმოთქვამს გენერალი.

— თქვენს დივიზიაში ჩამრიცხეთ, უკან დაბრუნება არ მინდა.

— ჰო, მაგრამ...

— ჩამრიცხეთ რომელიმე პოლკში... ჯარისკაცად. სიძნელეებს არ შევუშინდები...

ახლა სიტყვა დავუთმოთ გენერალ გიორგი ყურაშვილს, რომელიც თავის წიგნში „თერგიდან სევასტოპოლამდე“ დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბავს:

„მეორე დღის, სამ ივლისს, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ბრძანებით ჩაირიცხა დივიზიის მეკავშირე ჯარისკაცად. ხაკისფერი სამხედრო ტანსაცმელი და ქრომის ჩექმები ჩაიცვა, გიმნასტურის საყელოს თეთრი სარჩული გამოაკერა... გარიჟრაჟიდან დალამებამდე ფეხზე იდგა, უქმად მყოფს ვერ ნახავდით— ან საუბარს ატარებდა ან წერდა. მხარზე სავლე ჩანთა ეკიდა, წელზე პისტოლეტი „ტეტე“ ერტყა. ამ „ტეტემ“ ნამდვილ ჯარისკაცად აქცია. ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორეში — კალამი. დივიზიასთან ერთად განვლო ბრძოლები და მრავალი საგმირო ეპიზოდის განხორციელების აქტიური მონაწილე გახდა. მას ხედავდნენ ქართველი მეომრები ბრძოლის წინა ხაზზე, მიწურებში, ტრანშეებსა და თხრილებში, ტყვიამფრქვევისა და საარტილერიო-საცეცხლე პოზიციებზე, პირველსა და მეორე ეშელონებში, ავანგარდსა და დაზვერვაში“ (დასახ. წიგნი. გვ. 54-55).

ამიერიდან ომის წლების საბჭოთა პრესას შესანიშნავი თანამშრომელი შემატა. კონსტანტინე იყო სპეციალური კორესპონდენტი გაზეთ „კომუნისტისა“, კორესპონდენტი „იზვესტიასი“, „ზარია ვოსტოკასი“, „ლიტერატურული საქართველოსი“, „კრასნი კრიმ“-ისა, იმავე დროს უახლოესი თანამშრომელი იყო ზღვისპირეთის არმიის საფრონტო გაზეთისა „წინ სამშობლოსათვის“ (რუსულ და ქართულ ენებზე). ამ გაზეთებში დაბეჭდილი მასალების საფუძველზე შეიქმნა წიგნი „ომის მნახველი კალამი“, რომელიც ახლახან გამოსცა „მერანმა“.

ეს წიგნი ქართული ვაჟკაცობის, თავდადების, ბრძოლის ველზე რაინდული ძმადნაფიცობის და ურთიერთგატანის ცოცხალი მატიანეა; ეს ფასდაუდებელი წიგნია ქართული სულის გაუტეხელობაზე და შეუდრეკლობაზე, იმაზე თუ რა დიდი და საშინელი განსაცდელისა და გამოცდის წინაშე დააყენა ისტორიამ ქართველი ხალხი, მისი ახალგაზრდობა და რა ბრწყინვალედ ჩააბარა მან ეს გამოცდა; კითხულობ მატიანის სტილით დაწერილ ამ ძუნწ სტრიქონებს და მათ მიღმა ცოცხლად ხედავ იერიშზე გადასულ ქართულ პოლკებს, ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, მოძმე საბჭოთა ხალხების შვილებთან ერთად, მათთან მხარდამხარ სასწაულებს რომ ახდენენ ბრძოლის ველზე, თავიანთ სიცოცხლეს არ ზოგავენ, ოღონდ პირნათლად გამოვიდნენ ქვეყნის წინაშე. უბრალო სოფლელმა და ქალაქელმა ბიჭებმა, საშუალო სკოლა რომ დაამთავრეს, და ომში წავიდნენ, ფრონტზე გასაოცარი, პირდაპირ კლასიკური მხედრული ხელოვნება აჩვენეს; შთაგონება, ფარულის გამოცნობა, შეუმცდარი ალღო, უსაზღვრო გამბედაობა ბრძოლის დროს, სტოიკური თავდაჭერა ქვემეხების გუგუნში, ტანკების მუხლუხების ხრჭიალში და „ფოკევულფების“ საზარელ ღმუილში — აი რა შეიძლეს მათ; ამაოდ როდი ახსენა მწერალმა მათი დახასიათების დროს „უშიშრობის ჯადოთი შეკრული გული“ და „ქართლის ცხოვრებიდან“ წამოღებული შედარება — „უშიშარი, ვითარცა უხორცო“. ისინი არ შედრკნენ, არ გატყდნენ, თითქოს საუკუნეების სიღრმიდან ძველმა ქართულმა სისხლმა დაიძახაო, იმ სისხლმა, დიდგორის ვიწროებში და ბასიანში, მარაბდის ველზე და ასპინძის ბრძოლაში რომ დაიღვარა; ისტორიულ ქრონიკას არ უყვარს ე. წ. ლირიკული წიაღსვლები, მაგრამ ამაოდ როდი გაიხსენა კონსტანტინემ გერმანელთა ძლიერი თავდაცვითი ზღუდის — გირლიანის მთის მიუვალი ციხესიმაგრის აღებისა და ტამანის ნახევარკუნძულზე შეჭრის დროს ასპინძის ომი და დასწერა: „ჩვენმა მებრძოლებმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს სამშობლოს, რომ მათს ძარღვებში იმ დიდი წინაპრების სისხლი დუღდაო“. ამ მართლაც ლეგენდარულ ბრძოლებს მარტო სამხედრო კორესპონდენტი კი არა, ჟამთა აღმწერელი უნდოდა, რომელიც გირლიანის მთის ლოკალით არ შემოიფარგლება და ამ ბრძოლასთან ერთად გვიჩვენებს, თუ ომის წლებში რა ადგილი ეჭირა საქართველოს მსოფლიოს ხალხთა იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც XX საუკუნის შუა წლებში წარმოებდა მაღალი ჰუმანიზმის იდეალების დასამკვიდრებლად და ფაშისტური ბნელეთის აღსაგვილად პირისაგან მიწისა.

თავის წიგნის შესავალში ავტორი თითქოს ბოდიშსაც კი იხდის მკითხველის წინაშე — „ვერ ვიტყვი, რომ ამ წერილებს ალაგ-ალაგ ცოტა დაწყნარებული ხელის გაკვრა არა სჭირდებოდესო“; აქ ჩვენ მას ვერ დავეთანხმებით — არავითარი ხელის გაკვრა არ იყო საჭირო. გულმართალმა მოწმემ, ომის მნახველმა [illegible] ის წუთები, როცა წყდებოდა სამშობლოს ბედი და მაშასადამე, ის წუთები, საათები და დღეები ისტორიას განეკუთვნებიან. მაშ რა ხელის გაკვრაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა კითხულობ ნარკვევსა თუ რეპორტაჟს „კავკასიის გუშაგები“, სადაც მოთხრობილია უმცროსი ლეიტენანტის გიორგი მაჩაბელის გმირობის ამბავი. სულ ხუთნი იყვნენ ქართველები — თვითონ მაჩაბელი, უმცროსი ლეიტენანტი ლურსმანაშვილი, მეკავშირე სერჟანტი შაქიაშვილი, მზვერავთა ათეულის მეთაური კუცია და უფროსი მზვერავი წიკლაური; ისინი იმყოფებოდნენ სათვალთვალო პუნქტზე, რომელიც ისე მარჯვედ აწესრიგებდა არტილერიის ცეცხლს, რომ გერმანელებმა უბრალოდ თავის წამოწევაც ვერ შეძლეს. მაშინ ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს მოესპოთ ეს სათვალთვალო პუნქტი, რათა შეუფერხებლად წამოსულიყვნენ საქართველოს გულისაკენ. და აი, სამოცი გერმანელი მიევტომატე თავს დაესხა ხუთ ქართველს. დიახ, სამოცი წამოვიდა ხუთ კაცზე! გაისმა მაჩაბლის საბრძოლო შეძახილი და სულ რამდენიმე წუთში ქართველებმა, მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ, ცოცხალთა სიიდან ამოშალეს მტრის ორმოცი ჯარისკაცი, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ძველ საქართველოში ამ ამბავს „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანდნენ და, ცხადია, მატიანის ღირსია ეს ამბავი ახალ საქართველოშიაც. გავიხსენოთ გალაკტიონის სტრიქონები, რომელიც ზუსტად იმ დღეებში დაიწერა, როცა მაჩაბელმა ჩაუქრო მტერს მასზე ჩაბარებული ხეობის ჭიშკარი: „მოდიოდა ერთზე ასი, გზა გვეშვენოდა დიდების, ჩვენ დავცალოთ ჭვალმა თასი ბიდთან არდარიდების“.

ნარკვევსა და რეპორტაჟს დიდ ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებას ვერ მოსთხოვ, მაგრამ ამ წიგნის ყოველ გვერდზე, ყოველ ეპიზოდში მაინც გამოიცნობა სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატის ხელწერა. აქაც, ამ ჟანრშიც მკითხველი გრძნობს გამოცდილი მწერლის მანერას, რომელიც მუდამ ცდილობს არა მარტო ბრძოლის გარეგნული მხარე აღწეროს, არამედ ჯარისკაცის სულშიც ჩაგვახედოს, გვიჩვენოს, რომ ქართველი ჯარისკაცი არა მარტო ბრძოლაში ნაცადი მეომარია, არა მარტო შესანიშნავი მცოდნე იარაღის, რომელიც მას მიანდეს, არამედ, იმავე დროს, არის ნამდვილი რაინდი, კეთილშობილის სულისა და მაღალი ზნეობრივ-ეთიკური მისწრაფებებით გამსჭვალული ადამიანი; ოთხი ათეული წელი გავიდა ომის შემდეგ, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობები, რომელთაც ომი წიგნებით უნდა გაიცნონ. ჰოდა, წაიკითხავს ეს ახალგაზრდა მკითხველი კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნს და ნათლად დაინახავს, რომ ეს ჩვეულებრივი ომი როდი იყო; აქ ერთი-მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ორი სამყარო — ერთ მხარეს იყო ფაშისტი მხეცი და მეორე მხარეს— საბჭოთა ადამიანი. ბრძოლის ველზე ნათელი ებრძოდა შუასაუკუნეების ბნელეთს, უკიდურესობამდე მისულ ბორიოტებას, ენით აუწერელ ცინიზმსა და ველურობას. ყოველი შეტაკება ჰიტლერელ ჯარისკაცსა და საბჭოთა მეომარს შორის აქ დახატულია როგორც გადამწყვეტი დუელი მხეცსა და ადამიანს შორის. ამ მხრივ ტიპიური და ფრიად დამახასიათებელია ქუთაისელი სერჟანტის ოთარ სულაბერიძის ეპიზოდი. ცხარე ბრძოლა ეს-ესაა დამთავრდა. ოთარი თავის უახლოეს მეგობარს — კოტელნიკოვს დაეძებს. ერთგან, ხის ძირას, თავისი ოცეულის სანიტარი ქალი დაინახა, ჭრილობას უხვევდა დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცს; სულაბერიძე მაშინვე მისკენ გახობდა. ჰკითხავს, კოტელნიკოვი ხომ არ გინახავსო ან დაჭრილი ან მოკლული, ამ დროს საიდანაც გავარდა თოფი და მიწაზე ნახევრად გაწოლილი ქალი სასიკვდილოდ დასჭრა. სულაბერიძემ მიიხედ-მოიხედა, იქვე პატარა ბუჩქების ძირში მიმალულ სანგრიდან გერმანელი ჯარისკაცი ამოხტა და უკანმოუხედავად მოჰკურცხლა. ჩვენი სანიტარი დაჭრილ გერმანელს ეხმარებოდა, იმ სულძაღლმა ფაშისტმა კი ეს ღვთისნიერი, გულმოწყალე გოგო სასიკვდილოდ გაიმეტა. აქა-იქ სროლა კიდევ ისმოდა... მაგრამ თუნდაც მთელი ჯოჯოხეთი წამოსულიყო, ამ ბიჭს ვერაფერი გააჩერებდა: „მაინც არ გაგიშვებ, ასი ტყვიაც რომ მომახვედრონ“, წამოიძახა სულაბერიძემ, იმ წამსვე ფეხზე წამოიჭრა და გაქცეულს დაედევნა, მალე გადაადგა დარმართს, ესროლა და თქვენი ჭირი გაატანა იმ არამზადას, დასძენს მწერალი; ამ პატარა ეპიზოდში, როგორც ზღვის ერთ წვეთში ხომ ნათლად ჩანს ორი სამყარო: ერთის მამაცი და თავგანწირული მეომარი, მაღალი ადამიანური იდეალებით გამსჭვალული სულაბერიძე განასახიერებს, ხოლო მეორეს — მუხთალი და საშინელი არსება — ჰიტლერის ჯარისკაცი, რომელსაც გიძნელდება ადამიანის სახელი უწოდო. მას შორეული წარმოდგენაც კი არა აქვს სათნოებისა და მოწყალების გრძნობაზე, იმ ბრძოლაში შუქივით რომ გამოანათა ახალგაზრდა ქალის გულიდან, მან კი სწორედ ამ სიკეთეს ესროლა ტყვია; წარმოდგენა არა აქვს სინდისზე, სიბრალულზე, სამართლიანობაზე, ყოველივე იმაზე, რაც კაცს განასხვავებს ტყუილისაგან.

ძალა ამ წიგნისა, მისი მთავარი პათოსი, პირველყოვლისა, მის ნამდვილობასა და დოკუმენტურობაშია. ამასთან, ყოველ ნარკვევსა თუ ჩანახატში არის თხრობითი სიუჟეტი, რომლის გამო ყოველ მათგანს მკითხველი აღიქვამს, როგორც სავსებით ჩამოყალიბებულ ნოველას, იმ განსხვავებით, რომ აქ ყოველი პერსონაჟი, ოფიცერი იქნება თუ ჯარისკაცი, მწერლის ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ ნამდვილად არსებული პიროვნებაა, რომელსაც კონკრეტული მისამართი აქვს და რომლის ბრძოლა, მთელი მოქმედება გადმოგვცემს მისივე ერის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათს, სულიერ სამყაროს, სასახელო ტრადიციას. ამ წიგნში ჩვენ ცოცხლად დავინახეთ, თუ რაოდენი თავდადებით იბრძოდა საქართველო მოძმე რესპუბლიკების მხარდამხარ, რა დიდი და უძლეველი ძალა შესძინა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ჯარისკაცს, რომლის მონუმენტური სახე ასე ნათლად, ასე ხელშესახებად აგვიწერა ომის მნახველმა კალამმა.

გიორგი ნატროშვილი.

შრომის ზეიმი მთაში

ივრის ხეობის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს — ლაშარის გორს ამჯერადაც უამრავი ხალხი ეწვია ტრადიციული მეცხოველის დღის ზეიმზე, რასაც განსაკუთრებული ელფერი და შინაარსი შესძინა სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მნიშვნელოვანმა წარმატებებმა სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და პირუტყვის საკვები ბაზის შექმნისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ზეიმი გახსნა საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ქისტაურმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის წითელი დროშა გადაეცათ ტუშურების საბჭოთა მეურნეობის დირექტორს გ. აფციაურს და პარტიული კომიტეტის მდივანს ვ. ბერიკაშვილს.

ზეიმზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ერწოს საბჭოთა მეურნეობის მწველავი ე. წიკლაური, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი ა. დულუზაური, მწყემსი ჯ. ჰურჭელაური და სხვები.

მოწინავე მწყემსებსა და მწველავებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები, რის შემდეგაც მოხდა კომკავშირელ ჭაბუკთა მწყემსად კურთხევა.

მხატვრული განყოფილება მრავალფეროვნად წარმოადგინეს საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატმა, თიანეთის რაიონულ კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა და მომღერალ ბავშვთა („სიონის ზარები“) ანსამბლებმა.

ღონისძიებას დაესწრნენ და რაიონში საკვების დამზადების, სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური და სხვა ამხანაგები.

გ. ხახიაური,
„კომუნისტის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

მსჯელობენ ჟურნალისტები

ასპინძა. (საკ. კორ.). საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ახალციხის სარაიონთაშორისო განყოფილების ბიურომ, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ჟურნალისტთა შორის, გამსვლელი სხდომა მოაწყო ასპინძის რაიონული გაზეთის რედაქციაში.

სხდომაზე მოისმინეს ასპინძის, ბორჯომის, ახალციხის რაიონული გაზეთების რედაქტორების ნ. ცისკარაძის, ო. სტაჟაძის, შ. ხატიძისა და ადიგენის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის ე. ბერძენიშვილის მოხსენებები და ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ როგორ აშუქებენ აღნიშნული რაიონული გაზეთები მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი საბჭოური ცხოვრების წესების დამკვიდრების, სამართალდარღვევისა და სამართლებრივი ცოდნის, მორალისა და ზნეობის, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისა და სხვა საკითხებს.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ ახალციხის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე ი. წიქარიშვილი, ასპინძის რაიონული გაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ნ. ოქრუაძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ახალციხის სარაიონთაშორისო განყოფილების ბიუროს მდივანი თ. ჩალაშვილი და სხვები.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ა. ა. მინდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 74 წლისა გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა ნევროპათოლოგი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსი ალექსის ძე **მინდაძე**.

ა. მინდაძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1934 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრაზე, სადაც განვლო გზა ორდინატორიდან კათედრის გამგემდე.

დიდი სამამულო ომის პერიოდში იყო საველე-საევაკუაციო პუნქტის უფროსის მოადგილე, ამავე დროს საქინფორმის კორესპონდენტი კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე. ფრონტზე მიღებული ჭრილობების გამო დემობილიზებული ა. მინდაძე ეწევა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სსრ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო - პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, რესპუბლიკის მთავარი ნევროპათოლოგი.

1940 წელს ა. მინდაძე იცავს საკანდიდატო, ხოლო 1949 წელს სადოქტორო დისერტაციას. 1954 წლიდან მას ენიჭება პროფესორის, ხოლო 1967 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პროფესორი ა. მინდაძე 1966 წლიდან განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრას.

ა. მინდაძე იყო ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებული 135 შრომის, 16 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს, მრავალი პოპულარულ-პუბლიცისტური სტატიის ავტორი. იგი თავის ცოდნას და გამოცდილებას უხვად გადასცემდა ახალგაზრდობას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 5 საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორი ა. მინდაძე იყო ნევროპათოლოგთა მეექვსე მსოფლიო კონგრესის, საკავშირო ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა ყრილობების, სიმპოზიუმების და კონფერენციების აქტიური მონაწილე, იყო თბილისის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარე, სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

ა. მინდაძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სხვა.

თვალსაჩინო მეცნიერის, გულისხმიერი მკურნალის ნათელი სახე დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების და მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; რესპუბლიკური და თბილისის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოებები.

სპორტი

„ოქრო“ კავკასიონისა და პამირის მწვერვალებიდან

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ალპინისტების გუნდმა სამი პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში. იგი პირველი იყო პროგრამის ყველა სახეობაში — კლდოვან, ტექნიკურ და სიმაღლოვან კლასებში.

ოქროს მედლები მიენიჭათ თბილისელებს — ფრიდონ ჯოხაძეს, ვლადიმერ ქურასბედიანს, დავით ჩანტლაძეს, შოთა მარტიროსიანს, ვიაჩესლავ როდიონოვს, ბიძინა გუჯაბიძეს, თორნიკე ბერიშვილს, ალექსანდრე ლაჩინიანს და ალექსანდრე კუნდაროვს, ერევნელებს ჰაიკ ტონოიანსა და გრიგოლ ტატურიანს, აგრეთვე ტომსკელ მიხეილ რიაბოვოის და ოდესელ ვალერი როზენბერგს, მწვრთნელს— ლევ სარქისოვს.

წლევანდელი ჩემპიონატი საიუბილეო — 30-ე იყო. იგი ორ ეტაპად მოეწყო. კლდოვან და ტექნიკურ კლასებში დაუსწრებელი შეჯიბრება მიმდინარეობდა გეოგრაფიული პრინციპით. შემდეგ კი ჩემპიონატის მონაწილენი პამირის მთებში მაღლივ ასვლაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

— ყაზბეგის რაიონში აღმართული ჩაუხის მწვერვალების ტრავერსი ჩვენი პირველი საკონკურსო ასვლა იყო ჩემპიონატის დროს, — ამბობს ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ფრიდონ ჯოხაძე. — კლდოვანი მწვერვალების გრძელი წყება უნდა გაგვევლო.

ჯოხაძესთან ერთად ტრავერსში მონაწილეობდნენ როდიონოვი, ტონოიანი, ტატურიანი, ლაჩინიანი და კუნდაროვი. ალპინისტებს პირველივე წუთებიდან მოუწიათ სერიოზული გამოცდის ჩაბარება. ისედაც ძნელი მარშრუტის დამძიმდა ძლიერი თოვა და ქარი დაიმატა. — ასეთ პირობებში უხდებოდათ სპორტსმენებს გზის გაკვალვა ჩაუხი-VI მწვერვალის 90-მეტრიან კლდოვან კედელზე. მისი საშუალო დახრილობა 85 გრადუსს უდრის. ცალკეულ უბნებს კი უარყოფითი დახრილობა აქვთ. ყოველივე ეს მთამსვლელთაგან დიდი ოსტატობის გარდა უდიდეს ყურადღებას, სიზუსტესა და თანადგომასაც მოითხოვდა.

ასვლას სამი დღე-ღამე მოუნდა. სატრავერსო გადასვლაც უნაკლოდ დამთავრდა.

მრავალი წელიწადია, რაც კავკასიონის მთებს ამაყი მწვერვალი უშბა მთამსვლელებს იზიდავს. და ყოველ ჯერზე ისინიც ახალ-ახალ აღმოჩენებს ახდენენ, ახალ, გაუკვალავ გზებს პოულობენ.

— ჩვენი მარშრუტი სამხრეთ-დასავლეთ კედლის მარცხენა ნაწილზე გადიოდა, — ამბობს ლევ სარქისოვი. — თავისი სპეციფიკურობის გამო, რასაც დიდი სირთულე განაპირობებს, ეს მარშრუტი თითქმის ოცი წლის განმავლობაში გაუვლელი რჩებოდა.

უშბას არასოდეს და არავის წინაშე არ მოუხრია ქედი. და ამჯერადაც ალპინისტებს ურთულესი გამოცდა ხვდათ წილად. მწვრთნელის გარდა საიერიშო ჯგუფში შევიდნენ ქურასბედიანი, ჩანტლაძე, გუჯაბიძე, მარტიროსიანი და როზენბერგი. მათ გზაზე აღმართული იყო დაახლოებით 1600 მეტრი სიმაღლის კედელი. მის ძირითად ნაწილს სრულიად გლუვი ზედაპირი ჰქონდა, რომელსაც თოვლისა და ყინულის თხელები ფარავდა. ასეთი მარშრუტი ალპინისტებისაგან უზუსტეს მოქმედებას მოითხოვდა. გამოცდილმა და ახალგაზრდა მთამსვლელებმაც არა მარტო მაღალი სპორტული კლასი, არამედ საუცხოო ფიზიკური და სულიერი თვისებები, შეუცდომელი ალღო და თავდადებაც გამოავლინეს.

ათმა გუნდმა შეიტანა სიმაღლოვანი კლასის ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ პამირის მთებში მიმდინარეობდა. ამინდს არც აქ დაუნდვია ალპინისტები. ოთხმა ექსპედიციამ ვერ შეძლო ენგელსის პიკზე ასვლა და მარშრუტი მიატოვა.

ჩემპიონატის დაწყებამდე ამიერკავკასიელთა გუნდმა აკლიმატიზაციის მიზნით დიდ სიმაღლეზე საწვრთნელი ასვლა მოაწყო მარქსის პიკზე (6.732 მ). ამ ასვლამ ცხადყო ექსპედიციის სრული მზადყოფნა საკონკურსო მწვერვალის — ენგელსის პიკის (6.510 მ) საიერიშოდ. მარშრუტზე გამოვიდნენ სარქისოვი, ჯოხაძე, ჩანტლაძე, ბერიშვილი, ტონოიანი, ტატურიანი, რიაბოვოი და როზენბერგი.

იგივე მარშრუტის განაცხადი შეიტანა სვერდლოვსკის გუნდმაც. ასეთ შემთხვევაში წილისყრა არკვევს, თუ ვინ უნდა იაროს პირველმა. ბედმა ამიერკავკასიელ ალპინისტებს გაუღიმა. 13 აგვისტოს ისინი საბაზო ბანაკიდან გავიდნენ. ამოვარდა მძაფრი ქარი, რომელმაც ძალიან გააძნელა წინსვლა. მაგრამ მამაცი სპორტსმენები ხელიხელჩაკიდებულნი მიაბიჯებდნენ და მედგრად ძლევდნენ ყველა სირთულეს.

— ასვლის მესამე დღეს დახმარების სიგნალები მივიღეთ ჩვენს უკან მომავალი სვერდლოვსკის გუნდისაგან, — გვითხრა ჯოხაძემ, — ქარმა მათ სურსათიანი ზურგჩანთა გამოსტაცა.

იმან, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც ყოფილა მთაში, იცის ყოველი გრამი საკვების ფასი დიდ სიმაღლეზე. მაგრამ ამ მომენტში ამაზე არავის უფიქრია — მთავარი იყო გასაჭირში ჩავარდნილი ამხანაგების შველა. ასეთია მთების კანონი.

მაგრამ მთავარი გამოცდა ალპინისტებს წინ ელოდათ, 5.900 მეტრ სიმაღლეზე. აქედან თითქოსდა ხელის მისაწვდომზე მოჩანდა მწვერვალი, მარტო მის თხემზე იყო საჭირო გასვლა. და ამ დროს, უეცრად, მთამსვლელების წინაშე ახალი 160-მეტრიანი კედელი აღიმართა, რომელიც ქვემოდან არ მოჩანდა, მაგრამ მამაცი სპორტსმენები არც ამ დაბრკოლებას შეეპუენ — გადალახეს იგი და 19 აგვისტოს მწვერვალი დაიპყრეს.

შ. ზალოღაშვილი,
საქინფორმის კორ.

სურათზე: უშბა, რომელიც დაიპყრეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის მთამსვლელებმა. პუნქტირით მონიშნულია ასვლის მარშრუტი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მექსიკელმა მოქანდაკემ გამოძერწა

გამოჩენილი მუსიკოსის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის აღიარებული. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ხელოვნის სახე ბევრი მხატვრის შთაგონების წყარო გახდა.

ახლახან კომპოზიტორის პორტრეტი შექმნა მექსიკელმა მოქანდაკე ქალმა მარიელა არაგონმა.

მოქანდაკეს საფრანგეთში უნახავს მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“, მექსიკის საელჩოს დახმარებით მიუღია საჭირო მასალები კომპოზიტორზე, გასცნობია მის ნაწარმოებებს, შემდეგ კი მექსიკაში სტუმრად მყოფი კომპოზიტორი თავის სახელოსნოში მიუწვევია. ასე შეიქმნა სალონური ჟანრის პორტრეტი, რომელსაც მექსიკის სახვითი ხელოვნების მუზეუმის გამოფენაზე მოწონება ხვდა წილად.

მოქანდაკემ თავისი ნამუშევარი საჩუქრად გადასცა მექსიკაში სსრ კავშირის საელჩოს და ამჟამად იგი საელჩოს ინტერიერში დგას.

ს. ნაციაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათზე: მექსიკელი მოქანდაკე მარიელა არაგონი მის მიერ გამოძერწილ ა. მაჭავარიანის პორტრეტთან.

მსოფლიო კირველობა ჭადრაკში

მესამე პარტია

გუშინ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის მესამე პარტია, რომელშიც თეთრებით პრეტენდენტი თამაშობდა. ოცდამეერთე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად მატჩის ანგარიში გახდა 2:1 პრეტენდენტის სასარგებლოდ.

მომდევნო მეოთხე პარტია ხვალ გაიმართება. თეთრებით ა. კარპოვი ითამაშებს.

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. გუშინ თბილისის „დინამოს“ კორტებზე დაიწყო 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ ეს ასპარეზობა, „გრან-პრის“ ჩათვლაში შედის. შეჯიბრებაში ჩაებნენ გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელები.

ჭადრაკი. სტოკჰოლმში დამთავრდა ნანა იოსელიანის (სსრ კავშირი), პია კრამლინგისა (შვეცია) და დანა ნუცუს (რუმინეთი) დამატებითი მატჩ-ტურნირი ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრების ერთი საგზურისათვის. **პია კრამლინგმა 5,5 ქულა დააგროვა და მსოფლიო პირველობისათვის შემდგომი თამაშის უფლება მოიპოვა.** იოსელიანი მას 1 ქულით ჩამორჩა, ნუცუ კი 3,5 ქულით.

მძლეოსნობა. პეკინში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მოსკოველმა სერგი მალჩენკომ სიმაღლეზე ხტომაში 230 სმ დაძლია და პირველობა მოიპოვა. ჭოკით ხტომაში უძლიერესი იყო ალმაათელი ვიქტორ შულგინი — 535 სმ.

კალათბურთი. იტალიაში გრძელდება ქალთა გუნდების ევროპის ჩემპიონატი. გთავაზობთ შეჯიბრების მეორე დღის გამართული მატჩების შედეგებს: **ქალაქ ტრევიზოს ჯგუფი.** სსრ კავშირი-ბელგია — 95:46, უნგრეთი-პოლონეთი — 76:54, იტალია-ესპანეთი — 77:46; **ქალაქ ვიჩენცის ჯგუფი.** იუგოსლავია-ბულგარეთი — 67:66, საფრანგეთი-ჰოლანდია — 57:39, რუმინეთი-ჩეხოსლოვაკია —79:52.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

რ. რ. დვალის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 11 სექტემბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში — ბარნოვის 109.

გამოსვენება — 12 სექტემბერს 17 საათზე.

რ. რ. დვალის დაკრძალვა მოხდება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება და მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რაფიელ რაფიელის ძე დვალი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, რესპუბლიკური და თბილისის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოებები, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამედიცინო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგე, საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

ალექსი ალექსის ძე მინდაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

11 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მულტფილმი. 9.50 — მოგზაურთა კლუბი. 10.50 — მხატვრული ტელეფილმი „ქალაქის ქვეშ“. მეორე სერია. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — ხუთწლედი ყველას საქმეა. 16.50 — კონცერტი. 17.15 — „დიდი სამამულო ომის თემა თანამედროვე სცენაზე“. 18.30 — ტ. ხრენიკოვი. № 3 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 18.55 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ტელეფილმი საბჭოთა კავშირის კოსმონავტ მფრინავზე გ. ტიტოვზე. 20.30 — „ქალაქის ქვეშ“. მესამე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „მსოფლიო კინოკამერაში“. 23.45 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — ფეხბურთი. შვეიცარიისა და ირლანდიის ნაკრები გუნდები. მე-2 ტაიმი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 — სახვითი ხელოვნება. ვ. ა. ფავორსკის სახელოსნოში. 10.35 და 13.40 — გერმანული ენა. 12.05 — დედის სკოლა. 14.10 — „სიყმაწვილის პირველი დილა“. მეორე სერია. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — მუსიკალური კიოსკი. 19.50 — დოკუმენტური ფილმი „ფერმა“. 20.00 — ჰოკეი. ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. პირველი და მეორე პერიოდები. შესვენებისას — 20.40 — „მილი ნებისა, პატარებო!“. 21.40 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ჰოკეი. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირი. მე-3 პერიოდი. 23.15 — მხატვრული ფილმი „ფლატესთან“. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

11 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „მოამბე“. 10.05 — კონცერტი „თქვენი თხოვნით!“ (განმეორებით). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ბაიკალი — ახალი ბიოგრაფია“, „ვლადივოსტოკი“. 17.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღამის სეანსი“. 18.00 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „წყაროსთვალი“. 18.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიზკულტურა“. 18.55 — კონცერტი. 19.15 — „სტახანოვური მოძრაობის მემკვიდრენი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 „მოამბე“. 20.30 — ახალგაზრდობისათვის. „კვალი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჟუმლი“. 21.00 — ახალგაზრდობისათვის — „მუსიკოსები ხუმრობენ“ (გადაცემა მესამე). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „იმედის მწვანე კუნძული“. 24.00 — შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე. შვეიცარია — ირლანდია. მეორე ტაიმი (გადმოცემა შვეიცარიიდან).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგის ავტოქარხანა: გუშინ, დღეს, ხვალ“. 17.35 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 17.45 — მხატვრული ფილმი „პირველკლასელი“.

თეატრი

11 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჟიზელი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია: რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები: მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; გორი — 2-83-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 3-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-64; ტყიბული — 25-82.